# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 27 მარტი, 2013 წელი.

№56 (7183)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## წაიკითხეთ, ნაცებო! თქვე პოლიტიკური ანცებო!.. ③

## ქუდზე კაცი, ანუ როგორ ამოვძირკვოთ სააკაშვილის ⑥ რეჟიმი



## შვეიცარიის ელჩი გიუნტერ ბეხლერი: კოჰაბიტაცია დემოკრატიული არჩევნების ყველაზე სასურველი შედეგი არ არის

## 24 აქციონერი წართმეულ ქონებას – „თბილავია-მშენს“ ითხოვს ⑤

## „თურქი-მესხების“ ჩამოსახლება საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ②




## ბიძინა ივანიშვილი ვალდებულია, პირადად შეხვდეს ვლადიმერ პუტინს და მასთან გაარკვიოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა ④

## „ყაზტრანსგაზი-თბილისი“: დარღვევები, საბოტაჟი... ⑦

## იუსტიციის სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში უსამართლო ვერდიქტებზე დაახლოებით 10 ათასი საჩივარი შევიდა ⑧



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ინიციატივა

# საკრებულოებში გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესში ცვლილებები შედის

**მმართველ უმრავლესობას საკრებულოებში გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესში ცვლილებები შეაქვს. პარლამენტს უკვე წარედგინა საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტი, რომლის ავტორია საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ხელმძღვანელი ირინა იმერლიშვილი, ხოლო ინიციატორები, მასთან ერთად, სოსო ჯაჭვლიანი და თამაზ ჯაფარიძე არიან.**

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები — საკრებულოები, პარლამენტის



მსგავსად, პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე ირჩევა. პარლამენტში ინიცირებული ცვლილებები საკრებულოს გამოკლებული მაჟორიტარის ადგილმონაცვლის საკითხს ეხება.

დღეს მოქმედი კოდექსით, თუკი უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეულ არანაკლებ ხუთ წევრს, შუალედური არჩევნები უახლოეს სექტემბერ-ოქტომბერში ტარდება. ამასთან, თუკი შუალედური არჩევნების ჩატარებამდე 60 დღეზე ნაკლებია დარჩენილი, სადღეისოდ დადგენილი ნორმის გათვალისწინებით, შუალედური არჩევნები მომავალი წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდება. გარდა ამისა, მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა ამბობს, რომ თუკი საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია ორ წელზე ნაკლები, შუალედური არჩევნები არ ტარდება.

პარლამენტში წარდგენილი ცვლილებების პროექტი აღნიშნულ წესს მთლიანად ცვლის და ზრდის საკრებულოს მაჟორიტარული შუალედური არჩევნების გამართვის ვადასა და სიხშირეს. კერძოდ, პროექტის თანახმად, საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მას შემდეგ რაც, მათი რაოდენობა ნაცვლად ხუთისა, სამს მიაღწევს, შუალედური არჩევნები ჩატარდება. შუალედური არჩევნები გაიმართება უახლოეს თებერვალში, ივნისში ან ოქტომბერში, თუკი შესაბამისი თვის ბოლომდე 70 დღეზე მეტია დარჩენილი, ხოლო თუ დარჩენილია 70 დღეზე ნაკლები, შუალედური არჩევნები ზემოაღნიშნულთაგან შესაბამის მომდევნო თვეში ჩატარდება. შესაბამისად, წამოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში, საკრებულოს შემადგენლობის შევსება სამჯერ მოხდება.

გარდა ამისა, პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საკრებულოს შუალედური არჩევნები არ ტარდება, ორი წლიდან ერთ წლამდე მცირდება, ანუ შუალედური არჩევნები არ ჩატარდება იმ შემთხვევაში, თუკი საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ერთ წელზე ნაკლებია დარჩენილი.

ინტერპრესი

ალიან-ჩალიანი

## ბიძინა ივანიშვილი 23 აპრილს ევროსაბჭოში სიტყვით გამოვა

**როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ბიძინა ივანიშვილი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგში, სავარაუდოდ, 22 აპრილს გაემგზავრება.**

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობის შესახებ 16 მარტს გახდა ცნობილი.**

**როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა სტრასბურგიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, სავარაუდოდ, სტრასბურგში ბიძინა ივანიშვილის ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრებიც გაიმართება.**

## ვაშინგტონი საქართველოს ორპარტიულად მიღებულ გადაწყვეტილებას ულოცავს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს ლიდერებს, საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას ორპარტიულად მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ულოცავს, — ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით გაავრცელა.**

**— საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც საერთაშორისო საკონსტიტუციო ნორმების შესაბამისად, პრეზიდენტს მთავრობის ცალმხრივად, პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშვნის უფლებას ართმევს. შეერთებული შტატები ულოცავს საქართველოს ლიდერებს, საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას ორპარტიულად მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. აღნიშნული ნაბიჯი გზას უკვალავს ქართული დემოკრატიის კონსოლიდაციას და საშუალებას აძლევს მთავრობას, ყურადღება გაამახვილოს ბევრ საკითხზე, რომელიც მის დღის წესრიგში დგას. იმედის მომცემია პოლიტიკური კონსენსუსი, რომელიც საფუძვლად დაედო აღნიშნულ შეთანხმებას. მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ფიგურას, შეინარჩუნოს კონსტრუქციული, მომავალზე ორიენტირებული ტონი საჯარო დისკუსიებისას, რათა ხელი შეუწყოს უფრო მეტ პროგრესს საქართველოსა და მისი მოქალაქეების სასიკეთოდ, — აღნიშნულია განცხადებაში.**

## საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს ახალი ელჩების დანიშვნის წინადადებით მიმართა

**პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ქვეყნის პირველმა პირმა საკანონმდებლო ორგანოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა კანდიდატურები გუშინ წარუდგინა.**

**ოფიციალური ცნობით, საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინების გათვალისწინებით, პარლამენტში შევიდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა შემდეგი კანდიდატურები:**

**ლიტვის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე — ხათუნა სალუქვაძე; ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე — ზურაბ პატარაძე; თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე —ირაკლი კოპლატაძე; აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე — თეიმურაზ შარაშენიძე და ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე — კონსტანტინე კორკელია.**

## იგეგმება „შაჰდენიზის“ გაფართოება, რაც საქართველოში გაზის ტარიფზე აისახება

**სასტუმრო „რედისონში“ მიმდინარე მე-12 საერთაშორისო ენერგეტიკულ კონფერენციაზე საუბარი შეეხო უკვე განხორციელებულ და მომავალში განსახორციელებელ პროექტებს.**

**როგორც ჟურნალისტებს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა კახა კალაძემ განუცხადა, საუბარი იყო ისეთ პროექტებზე როგორიც არის აგრი, შაჰდენიზი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.**

**— იგეგმება „შაჰდენიზის“ გაფართოება, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კონკრეტულად საუბარია გაზის მოცულობის 16 მილიარდ კუბმეტრამდე გაზრდაზე და გამომდინარე იქიდან, რომ შაჰდენიზის პროექტიდან საქართველოში გაზის 5% რჩება, გაფართოების შემთხვევაში საქართველოში გაზის მოცულობის ძალიან დიდი ნაწილი დარჩება. მომავალში ეს ტარიფებზეც აისახება, — განაცხადა კახა კალაძემ.**

## რესპუბლიკელები ქუთაისში ანტისანიტარიაზე საუბრობენ

**„რესპუბლიკური პარტიის“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნატო ქათამაძემ ჟურნალისტებს ქუთაისის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების დაბინძურებული სარდაფები და ბუნკერები დაათვალიერებინა.**

**ნატო ქათამაძის თქმით, ქუთაისის მერია ყოველ წელს 3 600 000 ლარს ხარჯავს ქალაქის დასუფთავებაზე, თუმცა მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბუნკერები და სარდაფები ანტისანიტარიის კერადაა ქცეული.**

**ქუთაისის მერია ნატო ქათამაძის საპასუხოდ აცხადებს, რომ დასუფთავებისთვის გამოყოფილი თანხა ხმარდება ქუჩების, სკვერებისა და ქალაქის დალაგებას და არა კერძო ბუნკერებს, რომლებიც სახლების ქვეშ არის განთავსებული.**

ინტერპრესი

პრობლემა

# „თურქი-მესხების“ ჩამოსახლება საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს




**უკანასკნელ პერიოდში აქტუალური გახდა ის საკითხები, რომლებიც საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე აღებულ ვალდებულებებს ეხება. მოგეხსენებათ, ერთ-ერთი ასეთია რეგიონული ენის საკითხი, რომლის შესახებაც „ნაციონალური მოძრაობის“ მესვეურები აქტიურად საუბრობენ. „ნაციონალური მოძრაობის“ გენმდივანმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთში სეპარატიზმის ნიშნები გაჩნდა და ახალქალაქის საკრებულომ პარლამენტს მიმართა წერილით, რომლითაც რეგიონულ ენად სომხურის გამოცხადებას ითხოვს, თუმცა, ეს ინფორმაცია დღემდე არ დადასტურებულა. კერძოდ, როგორც ცნობილია, პარლამენტში ამგვარი დოკუმენტი გაგზავნილი არ ყოფილა.**

**კიდევ ერთი თემა, რომელზეც ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ, ე.წ. თურქი-მესხების რეპატრიაციის საკითხია. ამასთან დაკავშირებით განმარტება უცხოურ მედიასთან საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემაც გააკეთა. მაია ფანჯიკიძის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ე.წ. თურქი მესხებისთვის დაბრუნების პროცესი მაქსიმალურად გამარტივებული იყოს. ამის შესახებ ფანჯიკიძემ თურქული გამოცემა „საბაჰისთან“ ინტერვიუში გააკეთა განცხადება.**

**„პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება. პირველი ეტაპი გახლავთ რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირთაგან განაცხადების მიღება. ჩვენთან შემოვიდა 5 841 განცხადება 8 900 პირისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებების უმრავლესობა იყო ხარვეზებით. შემუშავდა მექანიზმი, რომლის თანახმადაც სტატუსის მაძიებლებს აღნიშნული ხარვეზების გასწორების შესაძლებლობა მიეცათ. რეპატრიანტის სტატუსი მიღებული აქვს 864 მოქალაქეს. მათგან 6 პირს შეტანილი აქვთ განაცხადი საქართველოს მოქალაქეობაზე. საქართველოს მთავრობა ასევე აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად რეპატრიაციის სტრატეგიასა და ინტეგრაციის პროცესზე. არის გარკვეული ეტაპები, რაც სავალდებულოა, რომ ყველა სტატუსის მაძიებელმა და უკვე სტატუსის მქონე პირმა გაიაროს. საქართველოს მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ აღნიშნული პროცესი მაქსიმალურად გამარტივებული იყოს დეპორტირებული პირებისათვის“,** — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

კონკრეტულად რა სახის ვალდებულება გვაქვს აღებული მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოხდეს მათი ჩამოსახლება და რატომ გახდა ეს თემა აქტუალური ახლა? ამასთან დაკავშირებით for.ge-ს ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** ესაუბრა.

**მამუკა არეშიძე:** „საქმე ის არის, რომ, ადრე თუ გვიან, მოგვიწევს ამ ვალდებულების შესრულება, რომელიც თავის დროზე ავიღეთ. ამ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან ნიშნავს დროის უახლოეს მონაკვეთს, ანუ ერთ ან ორ წელიწადს, მეტს უკვე ველარ გადავწევთ. თავის დროზე ეს ვალდებულებები ამ ფორმით არ უნდა აგვეღო. სამწუხაროდ, 1999 წელს, როდესაც ამ ვალდებულების აღება მოხდა, არ იყო გათვალისწინებული რიგი მომენტებისა, რომლებიც საქართველოსთვის მომგებიანი ვერ იქნებოდა. მაშინ მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიას და კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსის აქტივობით ამ ვალდებულების აღება ძალიან დაჩქარებულ ვადებში მოხდა. ეს ემსახურებოდა იმას, რომ რაც შეიძლებოდა მალე გავწევრებულიყავით ევროსტრუქტურებში.

ერთი მხრივ, დადებითი ქულები მივიღეთ, მაგრამ, მეორე მხრივ, საქმე გავაფუჭეთ, რადგან მაშინდელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა ვერ გათვალეს, ამ ყველაფერს რა შედეგები შეიძლება მოეტანა — ეს ეხება რეგიონული ენების სტატუსს, ასევე მესხების ჩამოსახლებას და სხვა.

რასაკვირველია, ეს დოკუმენტი მისაღები იყო, რადგან ეს იყო მოთხოვნა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც ევროსტრუქტურებში გაწევრება სურთ. თუ გინდა გაწევრება, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა მიიღო, მაგრამ როდესაც ასეთი ტიპის დოკუმენტს ღებულობ, სულ მცირე, შენი ხედვები მაინც უნდა დააფიქსირო. რაც შეეხება რეპატრიანტი მესხების საკითხს, ეს ადამიანები საქართველოს მკვიდრები არიან და ადრე თუ გვიან საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ პირადად მე მაგალითად, 90-იან წლებშივე ვითხოვდი, რომ უნდა შექმნილიყო სპეციალური სისტემები, რომლებიც მესხების საქართველოში ადაპტაციას შეუწყობდა ხელს. ეს სისტემები, რომლებსაც შეგვიძლია პირობითად, ადაპტაციის ცენტრები დავარქვათ, ევროსტრუქტურების მიერ უნდა ყოფილიყო დაფინანსებული. მაშინ ამას ყურადღება არ მიექცა. ადაპტაციის ცენტრებს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ ამ ადამიანებისთვის მარტივი იყოს ქართული ენის შესწავლა, ქართული კანონმდებლობის გაცნობა, ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაცია და ა.შ. მაგრამ ეს არ გაითვალისწინეს. დაახლოებით იგივე ხდება რეგიონულ ენებთან დაკავშირებითაც, მაგრამ ახლა არ მინდა ამაზე ყურადღება გავამახვილო.

**— ახლა თუ არის მზად საქართველო, რომ ეს ადამიანები მიიღოს?**

— საქართველო ამისთვის მზად არ არის.

**— რა არის ამ მხრივ მთავარი პრობლემები?**

— ყველაზე მთავარი არის ის, რომ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში დაბრუნდებიან და დაიწყებენ საქართველოში ცხოვრებას, ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის მზად არ არიან. მათ არ გაუვლიათ რეაბილიტაციის, თუგინდ დავარქვათ, ინტეგრაციის პროცესი. ეს ყველაფერი ველურად ხდება და ამ ყველაფრისთვის, როგორც ყოველთვის მოუმზადებლები ვართ.

იხ. 4 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

For.ge უცვლელად გთავაზობთ საქართველოში შვეიცარიის ელჩის გიუნტერ ბეხლერის წერილს, რომელიც მან საქართველოს პრემიერ მინისტრს მიწერა:



## შვეიცარიის ელჩი გიუნტერ ბეხლერი:

# კოჰაბიტაცია დემოკრატიული არჩევნების ყველაზე სასურველი შედეგი არ არის

**პატივცემულო პრემიერ-მინისტრო!**
**ძვირფასო ბატონო ბიძინა!**

ამ წერილის დაწერისკენ მიბიძგა ზოგიერთი ევროპარლამენტარის უპრეცედენტო და პარტიულმა განცხადებებმა როგორც საპარლამენტო არჩევნებამდე, ისე არჩევნების დროს და მის შემდეგ — მხედველობაში მაქვს, მაგალითად, 2013 წლის 6 მარტის მიმართვა.

მე, როგორც საქართველოს მეგობარი და ანალიტიკოსი, რომელიც თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე მუშაობს, ვაცხადებ, რომ ეს მიმართვები, წერილები და განცხადებები სრულიად არ შეესაბამება პოლიტიკურ რეალობას საქართველოში. გუშინდელი ღია წერილი გახლავთ შესანიშნავი პასუხი და ბრწყინვალედ გამოხატავს საქართველოს მოქალაქეთა შეშფოთებასა და ემოციებს. როგორც პრემიერ-მინისტრი, თქვენ, ალბათ, ვალდებული ბრძანდებით, მკაფიოდ უპასუხოთ ასეთ ცრუ ბრალდებებს საქართველოს ახალი და კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ვიტყოდი, რომ არც კი ღირს პასუხის გაცემა ასეთ ზედაპირულ შეფასებებსა და, როგორც ჩანს, შეთანხმებულად წარმოებულ პროპაგანდაზე ზოგიერთი შეცდომაში შეყვანილი ევროპარლამენტარის მხრიდან. მეტად საინტერესოა, რამდენად კარგად აითვისა ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთმა წევრმა საბჭოთა სტილის პროპაგანდისტული მეთოდები, მეთოდები, რომლებსაც ისინი, რასაკვირველია, საჯაროდ უარყოფენ.

მართლაც, საქართველო ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე ოდესმე ყოფილა წარსულში, და ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე მისი მეზობელი ქვეყნები. საქართველოს მოქალაქეებთან საუბარში იგრძნობა მათი თავისუფლება, მათ არ აწუხებთ შიში და აღსავსე არიან იმედით, რომელიც მათი ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს უკავშირდება. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში, ხოლო „ქართული ოცნების“ მოვალეობა დემოკრატიზაციის პროცესების გაფართოება და გაღრმავება იქნება. ახლო მომავალში სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას საქართველოს ყველა მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ მისცა ხმა ხალხის დიდმა უმრავლესობამ თქვენს კოალიციას და სწორედ ამიტომ გენდობიან ისინი თქვენ, როგორც პრემიერ-მინისტრს.

საქართველოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატიამ და ხალხის ნებამ თავი იჩინა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში. მოსახლეობის უმრავლესობამ გადაწყვიტა, ხმა მიეცა „ვარდების რევოლუციონერთა“ წინააღმდეგ, რადგანაც მათ დემოკრატიის გზას გადაუხვიეს და მოინდომეს, შეექმნათ საკმაოდ ავტორიტარული მოდერნიზებული რეჟიმი. მოქალაქეები შიშობდნენ, რომ დადგებოდა დღე, როდესაც საარჩევნო ბიულეტენი დაკარგავდა საზოგადოებაზე მზარდი კონტროლის საწინააღმდეგო იარაღის ძალას. უნდა ვაღიაროთ, რევოლუციონერებს არც თუ ისე ხშირად უხდებათ წასვლა დემოკრატიული არჩევნების შედეგად, როცა რევოლუციონერთა ლიდერებს აღარ რჩებათ სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ დაემორჩილონ უმრავლესობის ვერდიქტს.

ძნელია, არ დაინახო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიღწევები ძველი, კორუფციული სისტემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით საქართველოში. სხვათა შორის, კორუფცია კიბოს ჰგავს: ის მომაკვდინებელია ნებისმიერი დემოკრატიული და შეძლებული საზოგადოებისათვის. სწორედ ამიტომაა, რომ თქვენი ხელისუფლება, რომელმაც ესოდენ დიდი დემოკრატიული მხარდაჭერა მიიღო, ახლა ე.წ. ელიტარული კორუფციის აღმოფხვრის დიდი და რთული ამოცანის წინაშე დგას, გადასახადების გადამხდელთა სახსრების არამიზნობრივი ხარჯვისა და უცხოეთში ფინანსური რესურსების გადაქაჩვის ჩათვლით. საზოგადოება მხოლოდ მაშინ ხედავს სარგებელს ჯანმრთელ და მდგრად ეკონომიკასა და სოციალურ განვითარებაში, როცა კორუფცია სრულადაა აღმოფხვრილი.

არსებობს მხოლოდ ერთი წითელი ხაზი — ერთი მხრივ, დაუსჯელობის სინდრომის შეწყნარების ცრუ ალტერნატივასა და, მეორე მხრივ, ბრმა ამნისტიას შორის ყველა დანაშაულისათვის. ამ წითელ ხაზს ავლებს კანონი, და მხოლოდ დემოკრატიულად მიღებული კანონი საერთაშორისო მონიტორინგით, და სხვა არაფერი. კანონის მორჩილება გვიცავს რამდენიმე დაბრკოლებისა და მახისაგან, როგორიცაა პოლიტიზებული სამართლებრივი დევნა, უსაფუძვლო სასამართლო პროცესები თუ ანგარიშსწორების კამპანია.

მე თქვენში ვხედავ ძლიერ პოლიტიკურ ნებას, იხელმძღვანელოთ კანონითა და საერთაშორისო სტანდარტებით. ის, რომ თქვენ რჩევისათვის მიმართეთ სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, რომლებიც ნდობას იმსახურებენ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) და ისეთ პატივცემულ და მაღალკვალიფიციურ საერთაშორისო ექსპერტებს, როგორიცაა, მაგალითად, თომას ჰამერბერგი, მიუთითებს იმას, რომ თქვენ სერიოზულად ეკიდებით არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ მიცემულ დაპირებებს. იმისათვის, რომ ხაზგასმული იყოს თქვენი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული შორს მიმავალი რეფორმების დემოკრატიული ხასიათი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დიალოგს სამოქალაქო საზოგადოებასთან, ბიზნესსექტორთან, საერთაშორისო თანამეგობრობასთან, და ასევე პოლიტიკურ ოპოზიციასთან. ამასთან, გაძლიერდა სახალხო დამცველის ინსტიტუტიც.

ასევე საკმაოდ შთამბეჭდავი იყო პარლამენტისა და მთავრობის მიერ ხელისუფლებაში მოსვლიდან პირველ 100 დღეში შესრულებული სამუშაო. პირველად საქართველოს ისტორიაში, პარლამენტი იქცა ნამდვილი პოლიტიკური დებატების, საღი კანონმდებლობის და უმრავლესობისა და უმცირესობის ერთობლივი პროექტების შექმნის ადგილად, რის მაგალითადაც, მინდა მოვიტანო ახალგამოქვეყნებული ამომწურავი 19-პუნქტიანი ერთობლივი რეზოლუცია. ამასთან, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რეფორმებმა, რომლებიც მიმდინარეობს ზოგიერთ სამინისტროში — სახეზეა ახალი სტრატეგიები და კონცეფციები, ინოვაციური პროგრამები და პროექტები, ასევე წინსვლა ინსტიტუციონალური და უნარების განვითარების კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ ძალიან აქტიური და მაღალკვალიფიციური სოფლის მეურნეობის მინისტრი შვეიცარიის განვითარების კორპორაციის შესანიშნავ პარტნიორად გვევლინება. ამასთან, ფინანსთა, ეკონომიკის, რეგიონული განვითარების, გარემოს დაცვისა და, რასაკვირველია, საგარეო საქმეთა მინისტრები ასევე იძლევიან იმედს, რომ მათ მუშაობას კარგი შედეგები მოჰყვება. დიალოგი სამინისტროებსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის უდავოდ ღია, კონსტრუქციული და შედეგიანია. მე, პირადად, ვაფასებ სოფლის გაძლიერებაზე, მდგრადი და გარემოსთან ჰარმონიაში მყოფი სოფლის მეურნეობის აშენებაზე გამიზნულ თქვენს მიდგომას, უფრო დეცენტრალიზებული პოლიტიკური გარემოსა და ადგილობრივ რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის პირობებში.

უფრო მეტიც, ამ მოკლე დროში თქვენ მოახერხეთ საქართველოს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის საუბრის ტონის შეცვლა. თქვენ დანიშნეთ სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც უკვე ორჯერ შეხვდა რუსეთის წარმომადგენელს. ისინი ერთმანეთს ენდობიან და შეთანხმდნენ, არ გასცდნენ დაშვებულ ზღვარს და ყურადღება გაამახვილონ განხორციელებად პატარა ნაბიჯებზე. მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ თქვენი ხელისუფლება ასევე შეძლებს ურთიერთობების გაუმჯობესებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობებთან, რათა გამოინახოს საერთო ენა ხალხისათვის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს. როგორც მოგეხსენებათ, შვეიცარია ყოველთვის თქვენს სამსახურშია, როდესაც საქმე ეხება თანამშრომლობას მშვიდობიანი სამხრეთ კავკასიის რეგიონის უზრუნველსაყოფად.

მე ძალიან კარგად მესმის, რომ კოჰაბიტაცია არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ დემოკრატიული არჩევნების ყველაზე სასურველი შედეგი. ამავდროულად, კოჰაბიტაცია განიხილება, როგორც კიდევ ერთი გარდამავალი პროცესი, რომლიდანაც მნიშვნელოვანი გაკვეთილის მიღებაა შესაძლებელი. დემოკრატიული პროცესი კოჰაბიტაციის პერიოდის ბოლოს უფრო მყარი შეიძლება გახდეს, პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენცია კი უფრო კონსტრუქციული, ხოლო პოლიტიკური კულტურა — უფრო ღია, საფუძვლიანი დიალოგისა და დებატებისათვის ქვეყნის მომავლის შესახებ. მე უმორჩილესად გთხოვთ, გაეცნოთ ჩემს მოკლე სტატიას კოჰაბიტაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე, რომელიც დაიბეჭდა გამოცემა „The Messenger“-ის დღევანდელ ნომერში (იხ. დართული სტატია).

ნებისმიერი ხელისუფლება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უშვებს შეცდომებს. მე ვიტყოდი, რომ ზოგიერთი მთავრობისათვის უმჯობესი იქნებოდა შინ კრიზისის მოგვარება, ვიდრე სხვებისათვის ამპარტავნული ლექციების წაკითხვა. საკითხი კი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ ეპყრობა საკუთარ შეცდომებს ესა თუ ის ხელისუფლება, და სწორედ აქ ვხედავთ ყველაზე დიდ განსხვავებას. თუკი ხელისუფლება თავმდაბალია, აღიარებს შეცდომებს, ეძებს გამოსწორების გზებს, აძლევს მედიას საშუალებას, კრიტიკულად შეაფასოს ხელისუფლების მოქმედებები, რჩევას ეკითხება სამოქალქო საზოგადოებას და ითხოვს მხარდაჭერას მისგან, მაშინ მოქალაქეები უფრო ტოლერანტული ხდებიან და აძლევენ ასეთ ხელისუფლებას საკუთარ შეცდომებზე სწავლის საშუალებას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კარგად აცნობიერებთ შეცდომებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბოლო ასიოდე დღის განმავლობაში და თქვენ არ დაიშურებთ ენერგიასა და სიბრძნეს, რათა ასეთი შეცდომები აღარ განმეორდეს მომავალში.

არჩევნებამდე ზოგიერთი პოლიტიკოსი საქართველოში მადანაშაულებდა პოლიტიკურ მიკერძოებაში ოპოზიციის სასარგებლოდ. დიახ, შეიძლება მართლაც მიკერძოებული ვიყო. მე არასოდეს დამიმალავს, რომ მიკერძოებული ვარ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და მშვიდობიანი ურთიერთობების სასარგებლოდ. სწორედ ასეთი ვიყავი მთელი ჩემი დიპლომატიური და აკადემიური კარიერის განმავლობაში. თუკი იწვევთ შვეიცარიელ დიპლომატს, როგორც შუამავალს, ყოველთვის უნდა გქონდეთ მისი დემოკრატიული ღირებულებების რწმენა. არჩევანს პოლიტიკურ პროგრამებს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, „ქართული ოცნებასა“ თუ სხვა პარტიებს შორის უნდა აკეთებდნენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და ამომრჩევლები და არა მე, უცხოელი დიპლომატი, და არც ევროპარლამენტარები.

ბოდიშს ვუხდი საქართველოს მოქალაქეებს, თუკი ოდესმე ჩავრეულვარ საქართველოს საქმეებში. ასეთი რამ არ განმეორდება.

იმედის თვალით შევყურებ ჩვენი ღია და გულახდილი ურთიერთობების გაგრძელებას. დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველა იმ ძალისხმევისათვის, რომელსაც თქვენ იჩენთ დემოკრატიული პროცესებისა და საქართველოს მოქალქეებისათვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

პატივისცემით,
**გიუნტერ ბეხლერი,**
თბილისი, 2013 წლის 15 მარტი

**ალიან-ჩალიანი**

## ღვინის ეროვნულმა სააგენტომ საერთაშორისო კონფერენციებში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ საერთაშორისო კონფერენციებში მიიღო მონაწილეობა.

როგორც დღევანდელ ბრიფინგზე სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, 16 მარტს ხორვატიის დედაქალაქში გამართულ ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციაში საქართველო უძველესი ტრადიციების მქონე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობდა.

მისივე ინფორმაციით, 17-18 მარტს, ლონდონში ნატურალური ღვინის საერთაშორისო გამოფენა გაიმართა, რომელიც ქართული ბიოღვინის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. როგორც ლევან დავითაშვილმა განმარტა, ღონისძიებაზე 14 ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი. გამოფენის ფარგლებში საღამოც გაიმართა, რომელზეც ღვინის ეროვნულმა სააგენტომ სტუმრებს ქართული კერძებითა და ღვინით უმასპინძლა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ მნიშვნელოვანი უწოდა გერმანიაში, ქალაქ დუსელდორფში გამართულ გამოფენას, რომელსაც საპატიო სტუმრის სტატუსით მინისტრი დავით კირვალიძეც დაესწრო.

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№56. ოთხშაბათი, 27 მარტი, 2013 წელი.

საკუთარი აზრი



# ბიძინა ივანიშვილი ვალდებულია, პირადად შეხვდეს ვლადიმერ პუტინს და მასთან გაარკვიოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა

ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება „რუსეთთან ურთიერთობების დალაგება" იყო, რაც რუსეთის ხელისუფლებასთან ტერიტორიული საკითხის მოწესრიგებას გულისხმობდა და არა ოდენ ღვინისა და ბორჯომის საკითხის მოწესრიგებას, მაგრამ ბატონი ბიძინა, პრემიერ-მინისტრად არჩევის შემდეგ, სწორედ ღვინო-ბორჯომის საკითხის მოწესრიგებით შემოიფარგლა, ტერიტორიული საკითხის მოწესრიგება კი გაურკვეველი დროისათვის გადადო. თუმცა პირადად მას არც ამ საკითხის განსახილველად მოუცლია რუსეთის ხელისუფლებასთან. ეს საქმე მან არასახელისუფლებო პირს, ზურაბ აბაშიძეს მიანდო, რომელიც „რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის" უფლებით აღჭურვა, თვითონ კი ბრიუსელში გაფრინდა, „უფრო მნიშვნელოვანი საკითხების" განსახილველად ევროპელ ლიდერებთან, სადაც, როგორც გახსოვთ, სააკაშვილმა ჩაასწრო და ახლადარჩეულ პრემიერ-მინისტრს თავის მართლება მოუწია იმის გამო, რომ ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე პოლიტიკურ დევნას არ ახდენს.

ბატონი ბიძინა მოსკოვში რომ გაფრენილიყო, ვერც სააკაშვილი დაეხატებოდა იქ, არც უსაფუძვლო თავისმართლებას აიძულებდა ვინმე და შესაძლოა, ტერიტორიული საკითხიც წინ წაეწია, რადგან პრეზიდენტმა პუტინმა წინა დღეებში საგულისხმო ფრაზა წარმოთქვა სეპარატისტული რეგიონების პრობლემასთან დაკავშირებით: „მე არ ვიცი, სად არის გამოსავალი, მაგრამ დასხდნენ ექსპერტები და მოიფიქრონ, მოძებნონ ეს გამოსავალი".

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ტერიტორიული საკითხი „რთული საკითხია და იგი ხუთ წუთში ვერ გადაწყდება". მაგრამ თუ არ დასვი, არც ხუთ წელში გადაწყდება, ხოლო თუ კიდევ გაიჭიმა, გადაწყვეტასაც აზრი დაეკარგება, რადგან აღარავინ იქნება საკუთარ სახლში დასაბრუნებელი. უპატრონოდ კი ტერიტორია ოხრად დარჩება.

ასეა თუ ისე, ტერიტორიული საკითხის მოწესრიგება დღის წესრიგში არა დგას. მისი მოწესრიგება რუსეთ-საქართველოს შორის მტრობის დამთავრებას გამოიწვევს, ეს კი ზემოთ, ვიღაცის გეგმაში არ შედის.

ბატონმა ზურაბმა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას, გადაწყვიტა არა მარტო ქართული ღვინო-ბორჯომის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების პრობლემა, არამედ აგრეთვე ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის" კრემლის დარბაზში კონცერტის გამართვისაც, რითაც საზეიმოდ აღინიშნა რუსეთთან მოლაპარაკებების მიზნის მიღწევა. „მოლაპარაკებები", ცხადია, კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ გაუგებარია რიღასთვის, როცა „მიზანი მიღწეულია"?!

ცნობილი პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი კი მაინც უკმაყოფილოა: „სჭირდებოდა ამას ასეთი აჟიოტაჟი ან სპეცწარმომადგენელი? გამოეცხადებინა ივანიშვილს, რომ საქართველო მზად არის ვაჭრობის აღსადგენად და ჩამოვიდოდნენ რუსი ბიზნესმენები, ყოველგვარი ხმაურის გარეშე მოაგვარებდნენ ამ საკითხს".

ბატონი ზურაბის აღიარებით, „რუსეთი თითქოს რაღაც წინაპირობებს აყენებდა, მაგრამ... ჩვენ შევთანხმდით, რომ წითელ ხაზებს არ შევეხებოდით... ჩვენთვის წითელი ხაზები გადის იქ, სადაც საუბარია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, საქართველოს სუვერენიტეტზე და საქართველოს არჩევანის თავისუფლებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ესენი ჩვენთვის ხელშეუხებელი თემები და საკითხებია, რომლითაც ჩვენ არ ვვაჭრობთ, ეს საკითხები განხილვას არ ექვემდებარება... მათთვის წითელი ხაზი გავლებულია იქ, სადაც იწყება საუბარი მათ მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების ანულირებაზე" (ინტერვიუ „ივერონთან" 12.03.2013).

აქედან ჩანს, რომ რუსეთს (კარასინს) სურვებია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბარი, მაგრამ საქართველოს (აბაშიძეს) არ მოუსურვებია, რადგან რუსეთი თურმე ისეთ წინაპირობებს აყენებდა, რომლებიც, ბატონი ზურაბის ვარაუდით, საქართველოს სუვერენიტეტსა და არჩევანის თავისუფლებას „შეზღუდავდნენ". რესპონდენტი არ გვიმხელს, რა წინაპირობებზეა საუბარი, რომ ჩვენ თვითონ გავარკვიოთ, შეზღუდავდნენ თუ, პირიქით, უზრუნველყოფდნენ საქართველოს სუვერენიტეტსა და არჩევანის თავისუფლებას.

მკითხველის დაბნევას იწვევს ისიც, რომ სპეცწარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას სუვერენიტეტსა და არჩევანის თავისუფლებასთან ერთ რიგში აყენებს, მაშინ როცა იგი დამოკიდებულია მათზე: ტერიტორიული მთლიანობის შეთავაზება ხდება სუვერენიტეტსა და არჩევანის თავისუფლების შეზღუდვის ან უზრუნველყოფის სანაცვლოდ!

არასწორად არის განმარტებული რუსეთის „წითელი ხაზიც": „მათთვის წითელი ხაზი გავლებულია იქ, სადაც იწყება საუბარი მათ მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების ანულირებაზე". მაგრამ თუ ასეა, ტერიტორიულ მთლიანობას როგორ შემოგვთავაზებდა და რაში დასჭირდებოდა „წინაპირობები"?!

სინამდვილეში, წითელი ხაზი რუსეთისათვის არის საქართველოს ნატოში შესვლა, რადგან ნატოს ჯარების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე საფრთხეს შეუქმნის რუსეთს. ამის გამო აქვს მას ოცი წლის მანძილზე კუდზე ფეხი დადგმული საქართველოსათვის, რომ არ დაუშვას მისი ნატოში შესვლა. ამისათვის სჭირდება მას მხარდაჭერა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისათვის", რომლებიც ტვირთების მეტს არაფერს წარმოადგენენ მისთვის და მზად არის, დაეხმაროს საქართველოს მათთან საერთო ენის გამონახვაში, რაც თითქოს ხელს უნდა აძლევდეს საქართველოსაც, მით უმეტეს, რომ ეს მხოლოდ უზრუნველყოფს მის სუვერენიტეტსა და არჩევანის თავისუფლებას, რაც ფაქტობრივად შეზღუდული აქვს აშშ-ის სტრატეგიულ სატელიტად ქცევის გამო. მაგრამ ქართველი ხელისუფალნი ვერ განთავისუფლებულან ნატოში შესვლის უსარგებლო და სახიფათო იდეისაგან, სადაც მათ არც არავინ უშვებთ, და ტყუილუბრალოდ საკუთარ სუვერენიტეტსა და არჩევანის თავისუფლებასაც იზღუდავენ.

გასაგებია, რომ სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძეს უფლება არა აქვს „წითელ ხაზს" გადავიდეს და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი დასვას კარასინის დონეზე, მაგრამ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს არათუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულიც არის, პირადად შეხვდეს პრეზიდენტ პუტინს და გაარკვიოს მასთან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა?

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე**

პრობლემა

# „თურქი-მესხების" ჩამოსახლება საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს

(მეორე გვერდიდან)

**— შეიძლება რეპატრიანტების ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა რაიმე საფრთხის შემცველი იყოს?**

— არა, ამ მხრივ საფრთხეს ვერ ვხედავ, რადგან ჯერ ერთი, მათი რაოდენობა არ არის იმხელა, რომ ამ მიმართულებით რაიმე პრობლემა შეიქმნას და მეორეც, ეს ხალხი არ არის, ასე ვთქვათ, კონფლიქტზე ორიენტირებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ გვყავს რეპატრიანტები, რომლებიც საქართველოში 80-იან წლებში დაბრუნდნენ (მაგალითად, სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის მკვიდრი მესხები) და მათი უფროსი თაობის ინტეგრაცია დღემდე ვერ მოხერხდა. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მათ ეს არ სურთ, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს არ აქვს შესაბამისი პროგრამა შემუშავებული. თუ ეს პრობლემები არ იქნა გათვალისწინებული, ამ ხალხის ადაპტაცია გაგვიჭირდება.

გავანებოთ თავი ამას, ხუთი ათასი მესხი რა არის (რომლებსაც გენეტიკური მეხსიერება მაინც აქვთ, რომ ქართველები არიან), როდესაც 30 000-ზე მეტი სრულიად უცხო ტომების წარმომადგენლები გვყავს საქართველოში, ინდოელი იქნება ეს, ჩინელი, თუ სხვა. ამ ადამიანებს აბსოლუტურად ფეხებზე კიდიათ საქართველო, მათთვის მთავარია ქართული მიწისა და ქართული ეკონომიკისაგან მატერიალური დოვლათის მიღება. ამ ადამიანებმა ბევრად უფრო იოლად მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა, ვიდრე ამ მესხებმა. ასე რომ, დღეს საქართველო ბევრი გამოწვევის და ბევრი რისკის წინაშე დგას. მინდა ხელისუფლებას ვურჩიო, შექმნას პროფესიონალების ჯგუფი, რომლებმაც ეს თემები ძალიან კარგად იციან. ოღონდ ამას სჭირდება კონსოლიდაცია და შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ამ ადამიანებმა შეიმუშაონ პროგრამა, რომელიც ქვეყნისთვის ამ პროცესებს გააიოლებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ჩვენ პრობლემებს ვუქმნით ადამიანებს, რომლებსაც აქვთ გენეტიკური მეხსიერება, რომ ქართველები არიან, და მეორე მხრივ, მაქსიმალურად ვუღებთ კარს ადამიანებს, რომლებსაც აბსოლუტურად არ აღელვებთ არც ქართველობა, არც სახელმწიფოებრიობა და არც აქაური მენტალიტეტი.

**— თქვენი ინფორმაციით, ხელისუფლებაში არ არსებობს გუნდი, რომელიც ამ თემებზე იმუშავებდა?**

— ხელისუფლებაში ასეთი ჯგუფი არ არის. ის, რასაც რეინტეგრაციის სამინისტრო აკეთებს, არის ზღვაში წვეთი, რადგან მხოლოდ რეინტეგრაციის სამინისტრო ამ თემას ვერ მოუვლის, ჯერ ერთი იმის გამო, რომ ეს არ არის სამინისტრო, ეს არის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომელიც 22 კაცისგან შედგება, თემატიკა კი უამრავი აქვთ. ამიტომ ისინი ამ თემებს უბრალოდ ვერ მოუვლიან. საერთოდაც უნდა გითხრათ, რომ პროფესიონალების გარეშე საკითხი ვერ მოგვარდება.

**— როგორ უნდა მოხდეს ამ ადამიანების ჩამოსახლების პროცესი? ვალდებულებაში, რომელიც აღებული გვაქვს, წერია, მაგალითად სად უნდა დასახლდნენ ეს ადამიანები, როგორ უნდა წარიმართოს ეს პროცესი და ა.შ.?**

— დასახლების ადგილთან დაკავშირებით იქ არაფერია განსაზღვრული. ვალდებულებაში წერია, რომ ჩვენ ეს ხალხი უნდა მივიღოთ და მოვახერხოთ მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება, ეს არის და ეს. ამ თემას თავისი გულშემატკივრები ჰყავდა, რომელთა დიდი უმრავლესობა დღეს ცოცხალი აღარც არის, რადგან მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ეს პროცესი 70-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. ახლა დავრჩით თითოოროლა ადამიანი, რომლებმაც პრობლემა იციან და ესმით, მაგრამ ჯერჯერობით, მომკითხავი არავინ არის.

**— გამოდის, რომ ჯერჯერობით უცნობია, სად უნდა მოხდეს ამ ადამიანების დასახლება?**

— რასაკვირველია, და სწორედ ამიტომ ხდება ისე, რომ ისინი ველური წესით სახლდებიან იქ, სადაც მოუწევთ. ეს ადამიანები ძირითადად მაინც სამხრეთ საქართველოსკენ მიისწრაფვიან. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ისეთი კატეგორიული განცხადებებისა, მესხების განსახლების ადგილს ჩვენ შევარჩევთო, ეს ადამიანები მაინც სამხრეთ საქართველოში სახლდებიან და ამისთვის არც არავინ სთხოვს პასუხს.



**— რაც შეეხება მათ ოდენობას, არის თუ არა დაკონკრეტებული, რამდენი ადამიანის ჩამოსახლების ვალდებულება გვაქვს აღებული?**

— რაოდენობა იქ ნახსენები არ არის. იქ საუბარია იმაზე, რომ უნდა მივიღოთ ისინი, ვისაც საქართველოში ჩამოსახლება სურს. იმ მექანიზმმა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა, მოიტანა მსურველების ეს რიცხვი, ანუ დაახლოებით 6000 კაცი. დანარჩენებს ინიციატივა არ გამოუჩენიათ, იმიტომ კი არა, რომ არ უნდათ, არამედ იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში ისეთი ბარიერული სისტემა იყო შექმნილი, რომ ამ პროცესების გავლა ალბათ, დამღლელი იყო და ამიტომაც დანარჩენებმა არ მოინდომეს. ამ წლების განმავლობაში უკვე აღარ არის უფროსი თაობა, რომელსაც საქართველო ახსოვს, ხოლო უმცროსი თაობა, მაგალითად 80 000 ადამიანი, აზერბაიჯანში დამკვიდრდა და იქაურ საზოგადოებაში ინტეგრაცია მოახდინა. დაახლოებით 20 000-მდე მესხი ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლდა, მესხების ნაწილს იმიგრაციისთვის კარი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ გაუღეს, ნაწილი კი რუსეთის გუბერნიებში გაიფანტა. ასე რომ, საქართველოში ჩამოსვლის მსურველების რიცხვი ეს არის, რაც ზემოთ ვახსენე.

**— ძირითადი პრობლემა არის ის, რომ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამა, რომელიც შესაბამისი სპეციალისტების გუნდმა უნდა შეადგინოს?**

— დიახ, რათა ამ ადამიანების ქართულ საზოგადოებაში ადაპტაცია მოხდეს. შემუშავებული უნდა იქნეს მექანიზმები, რომლებიც ამ პროცესს გაამარტივებს და მეორეც, მათი განსახლება უნდა მოხდეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და არა თვითდინებით, როგორც ეს ახლა ხდება.

**რუსიკო უშიკიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**სამართალმა პური უნდა ჭამოს!**

# 24 აქციონერი წართმეულ ქონებას – „თბილავიამშენს“ ითხოვს

**„თბილავიამშენის“ ყოფილი მესაკუთრეები სასამართლოსგან ქონების დაბრუნებას მოითხოვენ. 2010 წელს მათ ქონება იძულების წესით ჩამოართვეს. 2010 წლის 19 ივნისს საწარმოში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები შევიდნენ და სასამართლოს ბრძანების საფუძველზე დოკუმენტები ამოიღეს.**

კანონის მოთხოვნის მიუხედავად, არ შედგენილა ამოღების ოქმები და დოკუმენტაცია მხოლოდ მას შემდეგ დააბრუნეს, რაც აქციონერებმა ქონება სახელმწიფოს „აჩუქეს“.

ეს ქონება დღეს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და ახალმა ხელისუფლებამ დირექტორად „ქართუ ჯგუფის“ ყოფილი პრეზიდენტი გიგა ჩრდილელი დანიშნა.

**სწორედ ამიტომ „თბილავიამშენის“ ყოფილი მესაკუთრეები სასამართლოს ქონების დაბრუნების მოთხოვნით მიმართავენ. მათ საადვოკატო დახმარებას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გაუწევს.**

**საია-ს თავმჯდომარის კახა კოჟორიძის ინფორმაციით, 2004 წელს „თამ თბილავიამშენის“ ყოფილმა აქციონერებმა და შპს „თბილავიამშენის“ პარტნიორებმა სახელმწიფოსგან 67 მლნ დოლარის ეკვივალენტის ლარში შეიძინეს „თამ თბილავიამშენის“ აქციათა 90%.**

2010 წლის 26 ივნისს კი კომპანიის დირექტორი და ყველაზე მსხვილი პარტნიორი პანტიკო თორდია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს, სადაც მას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება წარუდგინეს.




**„მასზე რამდენიმე საათის განმავლობაში ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ, ხოლო ბოლოს მოსთხოვეს საწარმო სახელმწიფოსთვის ეჩუქებინა. პანტიკო თორდია იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ მოთხოვნას, რის შემდეგაც ბრალდებულის სახით მისი პასუხისგებაში მიცემის დადგენილებას რამე სახის სამართლებრივი გაგრძელება აღარ მოჰყოლია“,** – განმარტა კოჟორიძემ და დასძინა, რომ ამის შემდეგ დანარჩენი აქციონერების მხრიდან „ჯგუფური ქველმოქმედება“ განხორციელდა და 24-მა აქციონერმა თავიანთი საკუთრება უსასყიდლოდ სახელმწიფოს გადასცა.

**საია-ში გამართულ პრესკონფერენციას „თბილავიამშენის“ 20-მდე ყოფილი მესაკუთრე ესწრებოდა. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ერთ-ერთმა ყოფილმა მესაკუთრემ კახაბერ ჟღენტმა განმარტა, აქციონერების მიმართ ზეწოლაში მთელი სახელმწიფო მანქანა იყო ჩართული, მათ შორის, ფინანსური პოლიციისა და იუსტიციის სამინისტროს სახით.**

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ყოფილი მესაკუთრეები საჯარო რეესტრის მხრიდან პრობლემების შექმნაზეც საუბრობენ. მათი თქმით, საჯარო რეესტრი თვეების განმავლობაში საკუთრების უფლების დამადასტურებელ ამონაწერს არ გასცემდა, იმისდა მიუხედავად, რომ დოკუმენტის გაცემას ერთი დღე სჭირდებოდა.

**„მას შემდეგ, რაც ამონაწერის აღება სახელმწიფოს ინტერესი გახდა, რათა წილის დათმობაზე სანოტარო აქტი მომზადებულიყო, საჯარო რეესტრმა ამონაწერი 5 წუთში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოამზადა, არასამუშაო კვირა დღეს. იმავე დღეს „თბილავიამშენის“ პარტნიორებს მოაწერინეს ხელი წილის უსასყიდლოდ დათმობის გარიგებაზე“,** – განმარტა კოჟორიძემ.

**საია-ს მტკიცებით, დღეისთვის უკანონობის გამოსწორების მარტივი შესაძლებლობა არსებობს, რადგან ქონება ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფება. როგორც იურისტები განმარტავენ, საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების კეთილი ნება, რადგან მოცემულ შემთხვევაში ქონების დაბრუნება, იურისტების შეფასებით, სამართლებრივი თვალსაზრისით არის ისეთივე მარტივი, როგორც ტელეკომპანია „იმედის“ შემთხვევაში მოხდა.**

**გიორგი ბექაური**

**გამოხმაურება**

# დემაგოგიავ, პრეზიდენტი უნდა გერქვას შენ?..

**აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონში პატარა, ერთი წლის ბიჭს დიდი უბედურება დასტყდომია თავს – შიმშილით მომკვდარა, ყველა იქაური ხელისუფალის შესარცხვენად, ახლა რომ თავს იმართლებენ – ოჯახს დოკუმენტაცია არ ჰქონდა წესრიგში, დედამ პირადობის მოწმობაც ვერ წარმოადგინაო. თქვე ხმაგასაკმინდებო და ხმაჩასაწყვეტებო, არ იცოდით, ვერ ხედავდით მდგომარეობა რა იყო და როგორ ჰქონდათ, ჯერ მიშველებოდით, ხელი გაგემართათ, ლუკმა პური მიგეწოდებინათ და ფორმალობებზე მერე გეზრუნათ, საბუთებისთვის „უკანა რიცხვით“ მიგეხედათ!..**

წესით, მთელი დარჩენილი საქართველო უნდა აღაშფოთოს უმანკო ბავშვის ასე უღვთოდ დაღუპვამ და ამ ქვეყნის შემორჩენილი პრეზიდენტიც. რა თქმა უნდა, თუნდაც პირველობის ვადაგასულ პირველ პირს აქვს უფლება ქვეყანაში მომხდარ ყოველგვარ მოვლენაზე გამოხმაურებისა და რეზიდენციაზე აღმართული სახელმწიფო დროშის დაშვებაზე განკარგულების გაცემისა, მაგრამ... მაგრამ...

მაგრამ ისა, რომ მიხეილ სააკაშვილის ეს გამოსვლაც, ეს ტელემიმართვაც, ისევე როგორც სხვა ყოველი, იყო საპიარო, ფარისევლურ-თვალთმაქცური, დემაგოგიური, პროვოკაციული. ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალებაც პიარად, დემაგოგიად აქციო – ამას მოხერხება ხომ უნდა. აქვს კიდევაც სათანადო მოხერხება გრძელოს!

შე კაი ბებიის შვილიშვილო და კაი დედის შვილო, ახლა რომ გაიძახი, მინისტრები ოჯახ-ოჯახ უნდა დადიოდნენ, სოციალურ ყოფას უნდა ეცნობოდნენ, ხალხის მდგომარეობა უნდა იცოდნენო – შენ სად და როგორ დადიოდი ცხრა წელიწადი, დაგავიწყდა? შენი მინისტრები – ადეიშვილები, ახალაიები, ბარამიძეები, ბოკერიები, მერაბიშვილები, ქობალიები და სხვანი და სხვანი სად დადიოდნენ და რას სჩადიოდნენ, დაგავიწყდა? მილიონებს და მილიონებს რომ იხვეჭავდი, ხარჯავდი და ფანტავდი გრიალში, გართობაში, თქვლეფაში, მრუშობაში, ბოინგებში, ვერტმფრენებში, შოპინგებში, სასაცილო-სატირალ ძეგლებში, სრა-სახლების, რეზიდენციების წამოჭიმვაში, ათასნაირი ხუშტურების ასრულებაში, – მაშინ არ ფიქრობდი ხალხის, მოსახლეობის გაჭირვებაზე, შიმშილზე, სიდუხჭირეზე, სავალალო სოციალურ ფონზე? ის მილიონობით და მილიონობით ლარები თუ დოლარები რომ სასიკეთოდ მიგემართათ შენც და შენს „თანამებრძოლებსაც“ – რამდენი გოგიტა გადაურჩებოდა შიმშილით გარდაცვალებას, რამდენი ლტოლვილი შევიდოდა საკუთარ ჭერქვეშ, რამდენი ვინმე არ გადაიხვეწებოდა უცხოეთში, თუ გიფიქრიათ ამაზე?

სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, სხვა ულმერთოდ ჩაცხრილული ბიჭების გამო თუ გადმოდექი ტელეეკრანიდან, ავიშვიშდი, ნიანგის ცრემლები ღვარე და დააშვებინე სახელმწიფო დროშა? იმ 7 ნოემბერს და იმ 26 მაისს თუ შეიცხადე მომხდარი ტელეეკრანიდან? თუ „პირიქით“ – იმავე ეკრანიდან იკვეხნიდი – აფრასიძეების განადგურების განკარგულება მე გავეციო, ან კიდევ, სხვა დროს მეტს (26 მაისზე მეტს!) ვიზამო!

ახლა რომ „აგიტყდა“ კარდაკარ და ოჯახ-ოჯახ მინისტრების სიარული – ციხე-ციხე მაინც თუ დაატარებდი შენს ძალოვან მინისტრებს და პირმშვენიერ ხათუნა კალმახელიძეს, იქ რაც ხდებოდა, იმის საყურებლად? მგონი, დაატარებდი, მაგრამ ეს ხომ სულ სხვა რამ არის...

ახლა რომ საცოდავი გოგიტას გამო მწუხარების ზარი შემოჰკარი – შენ არ იყავი, 2008 წლის აგვისტოს 12-ში თბილისში 20 ათას უგნურ თანამოქალაქეს ტაშ-ფანდური გაამართვინე იქ, ბრძოლის ველზე, თაკარა მზის ქვეშ უპატრონოდ მიყრილ-მიგდებულ ქართველ ვაჟკაცთა ცხედრების „ფონზე“? მაშინ სად იყო შენი განგაშის ზარი, შენი დამწუხრებული სახე და მგლოვიარე ტონი!

ამიტომაც ხარ დემაგოგი, ფარისეველი, პროვოკატორი, ნაპრეზიდენტალიც არ უნდა გერქვას შენ!.. მიხეილ სააკაშვილი ნიჭიერი პოლიტიკოსიაო – წამიკითხავს პრესის ფურცლებზე არცთუ უჭკუო ხალხის სხვადასხვადროინდელი გამონათქვამი და გამკვირვებია ფრიად... ნიჭიერი პიარისტობა, ნიჭიერი დემაგოგობა, ნიჭიერი პროვოკატორობა – აი, რა არ გამიკვირდებოდა... მაგისი!..

**ბერდია ბედოიძე**

**ვინ მოიგო?**

# სააკაშვილმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ თანამშრომლობა მისთვის მხოლოდ ლიტონი სიტყვებია

**ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე სამთვიანი კინკლაობა (ბოდიშს ვიხდი ორივე პოლიტიკური ძალის წინაშე, მაგრამ მათ შორის ამ ხნის მანძილზე მიმდინარე ცხარე დებატებს სხვა სახელს ვერ დავარქმევ – სწორედ რომ კინკლაობა) დამთავრდა – ცვლილებები ერთხმად მიიღეს.**

ყურადღებით ვაკვირდებოდი სატელევიზიო დებატებს, ინტერესით ვისმენდი ორივე მხარის არგუმენტებს... და, მართალი გითხრათ, გულწრფელად მაოცებდა მოკამათე მხარეების უნარი: ერთმანეთის პოზიციების სრული იგნორირება და თავიანთი მოსაზრებების ისე ჩამოყალიბება, თითქოს მეორე მხარის არგუმენტების შესახებ საერთოდ არაფერი სმენოდათ. მათი დისკუსია იმ საუბარს მოგვაგონებდა, ქუჩაში შეხვედრისას ერთი ყრუ მეორეს რომ ეკითხება – „აბანოში მიდიხარ?“ მეორე ყრუ კი უპასუხებს – „არა, აბანოში მივდივარო“. „ჰო, მე მეგონა აბანოში მიდიოდი“, – ეუბნება ისევ პირველი და ემშვიდობება.

ორივე მხარე თანხმდებოდა საკითხის არსზე – ცვლილებები შინაარსობრივად ორივეს მისაღებად მიაჩნდა. რაღა იყო საკამათო? ნაციონალები აცხადებდნენ – ცვლილებები მეორეხარისხოვნად მიგვაჩნია, რადგან ოქტომბერში მისაღები ახალი კონსტიტუციით ისინი ისედაც გათვალისწინებულია, ამის მიუხედავად, მზად ვართ, მათ მხარი დავუჭიროთ, მაგრამ იმისთვის, რომ სახე და ღირსება შევინარჩუნოთ, სარეიტინგო კენჭისყრა ჩავატაროთ, რომლითაც დადასტურდება, რომ ჩვენი მხარდაჭერის გარეშე ცვლილებები ვერ გავა, შემდეგ კი ჩვენ მათ მხარს დავუჭერთო.

საპარლამენტო უმრავლესობის აზრით, საკონსტიტუციო ცვლილებები არა ხელისუფლებას, არამედ ქვეყანას სჭირდებოდა. ამიტომაც უმცირესობის ახირება მისთვის გაუგებარი იყო.

დღე დღეს მისდევდა, ერთ დისკუსიას მეორე დებატი ცვლიდა, მხარეთა პოზიციები კი ოდნავადაც არ იცვლებოდა. არადა, თუ ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად ერთი პატარა, უმნიშვნელო დათმობა – სარეიტინგო კენჭისყრაზე დათანხმებაა საჭირო, რატომ არ უნდა დათმო? ერთ მხარეს ამბიციები, მეორე მხარეს საქვეყნო ინტერესი, აი, რა არჩევანის წინაშე იდგა უმრავლესობა.

მადლობა ღმერთს, უმრავლესობამ არჩევანი საქვეყნო ინტერესის სასარგებლოდ გააკეთა. კიდევ უკეთესი, თუ ამ ნაბიჯის გადადგმაში მას პრემიერი მიეხმარა. მაშასადამე, ქვეყანას მართლაც ჰყავს ლიდერი, რომელსაც ძალუძს პირად ამბიციებზე ამაღლება.

ვინ მოიგო და ვინ წააგო? პოლიტიკოსები დღეს ამ კითხვებს სხვადასხვაგვარად უპასუხებენ. ბევრი ფიქრობს, რომ უმცირესობამ თავისი გაიტანა და პოზიციები გაიმყარა. მე კი მგონია, რომ მოიგო „ქართულმა ოცნებამ“. მოიგო უმრავლესობამ, რომელმაც შეძლო ყალბად გაგებული თავმოყვარეობის დაძლევა, მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის სიმაღლეზე დადგომა. მოიგო ქართულმა სახელმწიფომ, რომელმაც მიიღო ქვეყნისთვის საჭირო საკონსტიტუციო ცვლილება, მოიგო უმცირესობამაც, რომელმაც ცხადყო, რომ გადამწყვეტ მომენტში მასაც ძალუძს თავისი წილი პასუხისმგებლობის გათავისება.

ერთადერთი, ვინც ამ ბატალიებიდან წაგებული გამოვიდა, ეს საქართველოს პრეზიდენტია, რომელმაც პარლამენტის სხდომის დამთავრებისთანავე გამარჯვების ყიჟინა დასცა და ჩვეულ სტილში შეუდგა ტრაბახს და ხელისუფლების დამუნათებას. არადა, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შემდგარი თანამშრომლობის ამ მართლაც კეთილგონიერი აქტის შემდეგ, ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ნებისმიერი პოლიტიკოსი გვერდზე გადადებდა აგრესიულ რიტორიკას და ოპონენტისთვის ნიშნის მოგების ნაცვლად მასაც და ქვეყანასაც კონსტიტუციაში დემოკრატიული ცვლილებების შეტანას და უმრავლესობასა და უმცირესობას შორის შემდგარ თანამშრომლობის ამ უპრეცედენტო აქტს მიულოცავდა. ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი (პირველ რიგში დავით ბაქრაძე) ხომ სწორედ ასეც მოიქცა.

მიხეილ სააკაშვილმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კონსტრუქციული თანამშრომლობა, რომლისკენაც ის დროდადრო მოუწოდებს ხოლმე ხელისუფლებას, მისთვის მხოლოდ კონიუნქტურით განპირობებული ლიტონი სიტყვებია. რეალურად კი ის კვლავაც ოპონენტების „ჩარეცხვაზე“ ოცნებობს.

**უჩა ბლუაშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ქუდზე კაცი,

## ანუ როგორ ამოვძირკვოთ სააკაშვილის რეჟიმი



**1**

**სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა აშშ-ისა და რუსეთის მთავრობათა ხელშეწყობით. აგრეთვე მას ხელისუფლებაში მოსასვლელად ეხმარებოდნენ საზღვარგარეთ არსებული დიასპორის წარმომადგენლები, რომელთა წინაშე გარკვეული ამოცანები აქვს შესასრულებელი, რაც საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, ქუთაისში პარლამენტის გადატანა.**

— აშშ ფიქრობდა, რომ სააკაშვილის და მისი მხარდამჭერების მეშვეობით საქართველო გახდებოდა ამ ქვეყნის პლაცდარმი, ხოლო რუსეთი — საქართველოსთან მეზობლობის გამო უფრო მოახერხებდა მასთან დაახლოებას; თუნდაც საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად ქცევას. ნეიტრალური საქართველო რუსეთის ინტერესებში შედის.

— საყოველთაო გლობალიზაცია გარდაუვალია, რაშიც ყველა სახელმწიფომ თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღოს, ხოლო ამერიკას სურს, მსოფლიო თავისი „გემოვნების" მიხედვით მოაწყოს. ამისთვის იგი ნატოს იყენებს. თუმცა ვარშავის ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ ისიც უნდა გაუქმებულიყო. სანამ სამხედრო ალიანსები იარსებებენ, მანამ საყოველთაო მშვიდობა არ დამყარდება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დემოკრატიის თვალსაზრისით რუსეთმა, ასევე ვთქვათ, დიდი დივიდენდები მიიღო — ბერლინის კედლის დანგრევა, გერმანიის გაერთიანება, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა, რუსეთის გავლენის სფეროდან აღმოსავლეთ ქვეყნების გამოსვლა, ამის დამადასტურებელია. აშშ-მა მსოფლიოს ამ მხრივ ვერაფერი მნიშვნელოვანი შესთავაზა, ამიტომ რიგი ქვეყნები: ჩინეთი, რუსეთი, ბრაზილია, ინდოეთი, ხოლო გერმანია და რუსეთი მეტნაკლებად დაუპირისპირდნენ მას. ეგრეთ წოდებული შანხაის სახელმწიფოთა ორგანიზაცია მომავალში შესაძლოა მძაფრად დაუპირისპირდეს ნატოს.

ამერიკის გავლენა არაბულ ქვეყნებზე ნელ-ნელა სუსტდება. ლიბიაში აშშ-ის ელჩი მოკლეს, მაგრამ ამ შემზარავ ამბავს აშშ-ში სათანადოდ არ გამოხმაურებიან. ვაშინგტონის ყოველგვარი მცდელობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ფეხი მოეკიდათ, უშედეგოდ დამთავრდა.

საქართველოში ამერიკელებს ძლიერ გაუმართლათ. იპოვეს ისეთი ადამიანები, რომლებიც ეთნიკურად გაურკვეველი წარმომავლობის არიან და უსამშობლო ადამიანის ფსიქიკიდან გამომდინარე, ადვილად თანხმდებიან პატრონთა შემოთავაზებას. ეს მოსაზრება საერთო კანონზომიერებაა და იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული ქსენოფობიურ ან დისკრიმინაციულ განცხადებად.

ამერიკელებმა ზემოხსენებულ მარიონეტების გამოწრთობა და მომძლავრება განიზრახეს და საამისოდ მილიარდობით დოლარი დახარჯეს.

ბუნებრივია, საქართველომ ყველა სახელმწიფოსთან უნდა დაამყაროს შესატყვისი ურთიერთობა, მათ შორის აშშ-სთან, მაგრამ ამ მხრივ ერთი სახელმწიფოს ამოჩემება სარგებელს არ მოგვიტანს. აშკარაა ამერიკელებს და ევროპელებსაც სურთ საქართველო მუდმივად ექიშპებოდეს რუსეთს. ამგვარი მდგომარეობა ქვეყანას დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების არენად აქცევს.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და მისი პრეზიდენტი, ბუნებრივია, უნდა იყოს არაქართველიც, მაგრამ ეს კანონზომიერება არ არის იმუნიტეტი. ყველანი — ქართველიც და არაქართველიც ხალხის წინაშე თანაბარპასუხისმგებლები არიან.

ამერიკელებს სურთ საქართველოში ისეთი ადამიანები სახლობდნენ, რომლებიც ყოველგვარ ვითარებაში მხარს დაუჭერენ მათ სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

**2**

**ხელისუფლებაში ეროვნული ძალები მოვიდნენ, რომლებიც ქვეყნის აწმყო და სამომავლო ინტერესებს კარგად აცნობიერებენ.**

უდავოა, ამერიკელებს ქართველებისთვის ნატოში შესვლა სატყუარად აქვთ გამოყენებული. ვფიქრობთ, ამიერიდან ნატოს გაფართოებას წერტილი დაესვა. საიდან გამიჩნდა ასეთი მოსაზრება? ბუნებრივია, რუსეთი ამგვარ პრეტენზიას უყენებს დასავლეთს: ჩვენ გავაუქმეთ ვარშავის ხელშეკრულება და განვახორციელეთ რიგი დემოკრატიული აქტები. საპასუხოდ ნატოც უნდა გაგეუქმებინათ. პირიქით კი მოხდა — ეს სამხედრო ალანსი რკალად ეკვრება რუსეთს, ამიტომ იძულებული ვართ ადეკვატურ ღონისძიებას მივმართოთ.

ამერიკელები ამ პრეტენზიას სათანადოდ აცნობიერებენ და აღარ არიან მოწადინებულნი საქართველოს ნატოში გაწევრებით. ეს გარემოება ბევრ ქართველს ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული და იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში ნატოში შევალთ. ის კი არ იციან, რომ მალე დადგება დრო, როდესაც კაცობრიობის მოწინავე ნაწილი ამ სამხედრო ალიანსის გაუქმების საკითხს დააყენებს.

არის შემთხვევა, როდესაც მარიონეტი მთავრობა პატრონებს ღალატობს და სამშობლოს საკეთილდღეოდ იწყებს მოღვაწეობას. სამწუხაროდ, სააკაშვილი და მისი მომხრეები პატრონების განუყრელ მარიონეტებად რჩებიან და ასრულებენ მათ მიერ შეკვეთილ დავალებებს. სააკისტებს იმის უნარიც კი არ აქვთ, რომ ბოროტი ზრახვები რამენაირად შენიღბონ, ხალხისთვის ნაკლებად საცნაური გახადონ.

— მართალია, სააკაშვილს და მის მომხრეებს იდეურობაზე წარმოდგენაც კი არ აქვთ, მაგრამ მაინც ავღნიშნავ ამ მხრივ მათ გაუთვითცნობიერებლობას... ვერ შეიმუშავეს რეალობისათვის შესატყვისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელი, პრობლემები ვერ დაყვეს პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად., ვერ დაგვისახელეს კრიზისის გამომწვევი ობიექტური მიზეზები, ვერ შეიმუშავეს მოქნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

— ქუთაისში პარლამენტის გადატანა ქართველი ერის წინაშე დიდი დანაშაულია. გავიხსენოთ 1918 წლის დეკემბერი. ეს ის თარიღია, როდესაც არაკეთილმოსურნეთა ულტიმატუმის მიხედვით მაშინდელ მთავრობას თბილისი უნდა დაეტოვებინა და პარლამენტითურთ ქუთაისში გადაბარგებულიყო. ბუნებრივია, ამ ულტიმატუმს ომი მოჰყვა. საბედნიეროდ, ამ ომში ქართველებმა გაიმარჯვეს და თბილისი სატახტო ქალაქად დარჩა. ამჟამად კი სრულიად მშვიდობიან გარემოში სააკაშვილი არაკეთილმოსურნეებს ოცნებას უსრულებს. საერთოდ, ეროვნული მოსახლეობა თავს იყრის დედაქალაქის გარეშემო. ყაზახები ძალიან სწორად მოიქცნენ, როდესაც დედაქალაქი ქვეყნის უკიდეურეს ჩრდილოეთში გადაიტანეს. ეროვნულობის თვალსაზრისით სწორედ აქ უჭირდათ ყაზახებს. ჩვენ კი, ქართველთმოძულე სააკაშვილის ბრძანება უყოყმანოდ შევასრულეთ და დედაქალაქი მივატოვეთ. სატირალი არის ის, რომ მასთან დაკავშირებით დისკუსიებს ვმართავთ და გვიჭირს სააკაშილის ამ ანტიქართული ქმედების სათანადოდ შეფასება.

იგივე არაკეთილმოსურნეთა მოწადინებით რუს გენერლებს შთააგონეს, რათა ისეთი პოზა დაეჭირათ — თითქოს რუსეთი საქართველო-ოსეთის კონფლიქტში არ ჩაერეოდა. ამ მარტივ სიტუაციაშიც კი ვერ გაერკვა სააკაშილი და მოწინააღმდეგეთა დაგებულ მახეში გაიხლართა. ომის დასაწყისში გახარებულმა სააკაშვილმა მოსახლეობას ამცნო: „კარგი არის ის, რომ ამ ომში რუსეთი ნეიტრალიტეტს იჭერს". თუ ამ გამონათქვამში ვინმე ეჭვს შეიტანს, გაუშვან არქივში შემონახული მაშინდელი ჩანაწერი და ყველაფერს ნათელი მოეფინება.

**3**

**კოდორის ხეობაში შინაგანი ჯარის შეყვანა დანაშაულის ტოლფასი იყო. აფხაზები, ასე თუ ისე ეგუებოდნენ ამ ხეობის საქართველოს შემადგენლობაში დე ფაქტოდ ყოფნას, მაგრამ იქ ქართული ჯარის შეყვანამ ისინი ძლიერ აღაშფოთა, რამაც განაპირობა კოდორის ხეობის აფხაზეთის ფარგლებში გადასვლა.**

სააკაშილის თვითმპყრობელურ რეჟიმსა და ამორალურ საქციელზე არაფერს ვამბობთ, ყველასთვის ისედაც ნათელია.

ამერიკელები მწარედ ნანობენ იმის გამო, რომ სააკაშვილი და მისი ბანდა სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს, რათა ოქტომბრის არჩევნებში გაემარჯვა, ამიტომ ახლა ამ შეცდომის გამოსწორებას შეეცდებიან. მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი სააკაშვილის ხროვას რევანშისთვის ამზადებენ. ეს არის საგანგაშო, თორემ ეგრეთ წოდებული ნაციონალები უკვე წელში გატეხილნი არიან. საოცარია ის, რომ საზღვარგარეთის ზოგიერთი პოლიტიკოსი განგაშს ტეხს თითქოს საქართველოში დამოკრატიას ძირი ეთხრება და საჭიროა მისი გადარჩენა.

მოვლენებში სუსტად ჩახედულ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ახალ მთავრობას გამოცდილება აკლია და ვერ უზრუნველყოფს საზღვარგარეთ სათანადოდ წარმოაჩინოს საქართველოს დღევანდელი სინამდევილე. ეს მოსაზრება არ არის სწორი და მისი რეალობად მიჩნევა სასურველ შედეგს არ მოგვიტანს.

საზღვარგარეთ აცნობიერებენ, თუ როგორი რეჟიმი დაამკვიდრა სააკაშვილმა საქართველოში, მაგრამ ისიც კარგად უწყიან, რომ სააკაშვილსა და მისი მხარდამჭერების მსგავს მარიონეტებს საქართველოში ამიერიდან ვერასოდეს იპოვიან.

ივანიშვილი ცდილობს, ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს თვით ამერიკელებთან და, რა თქმა უნდა, მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის რუსეთთან. სწორედ ეს ხელს არ აძლევთ ამერიკელებს. რატომ? ამის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვით.

თუ რუსეთი შეეგუა საქართველოს ნატოში გაწევრებას, სამაგიეროდ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს გადააქცევს შეუვალ ბასტიონად, ხოლო ზოგ სეპარატისტულად განწყობილ რეგიონში არეულობას გამოიწვევს. მოსალოდნელ კავკასიურ ომში (გამორიცხული არაფერია) რუსეთი აშკარად საქართველოს საპირისპირო მხარეს დადგება.

თუ წინამდებარე სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებს რეალობად მივიჩნევთ, მაშინ ისიც საჭიროა, რომ 19 აპრილს ქუდზე კაცის გამოსვლა და თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას შეკრება აუცილებელია. მხოლოდ ეს კია — თავშეყრის ადგილი პარლამენტის ძველი ადგილისამყოფლიდან საკმაოდ მოშორებით უნდა დაინიშნოს, რათა არ მოხდეს სააკისტებთან შეტაკება.

ამით ჩვენ საზღვარგარეთს დავანახვებთ, რომ სააკაშვილის მომხრეები მოსახლეობის უმცირეს ნაწილს შეადგენენ. ეს თვალსაჩინოება მათ დაარწმუნებს იმაში, რომ ქართველები სათანადოდ ერკვევიან რთულ სიტუაციებშიც კი და ეს ვითარება უკარნახებს მათ, უარი თქვან სააკაშვილზე და ითანამშრომლონ ახალ ხელისუფლებასთან. აგრეთვე გაითვალისწინონ საქართველოს ინტერესები — ხელი არ შეუშალონ მას რომელიმე სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებაში.

**4**

**ივანიშვილის ოთხწლიანი მმართველობა, ჩვენი აზრით იქნება დემოკრატიისა და წინსვლის საწყისი ეტაპი. თუ ის ვერ გაამართლებს, მას ჩაენაცვლება იმ პერიოდში ახლად აღმოცენებული, ასე ვთქვათ, რეალობისათვის შესატყვისი პარტია. ოთხ წელიწადში უნდა მოხდეს ყველა პარტიის თვითლიკვიდაცია, ვინაიდან ისინი წარმოიშვნენ ქაოსის პირობებში და მათზე დაკისრებულ მოვალეობას მცირედითაც ვერ აკმაყოფილებენ: ამის ნიშნები უკვე არის. ბატონი ბიძინას მოსვლამ პოლიტიკაში თითქმის ყველა პარტია უფუნქციოდ დატოვა. ეს დადებითი მოვლენაა. ფსევდოპარტიებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა დატოვონ პოლიტიკური სარბიელი.**

და თუ ახლად არჩეულმა პრემიერ-მინისტრმა გაამართლა, იგი ხელმეორედ უნდა ავირჩიოთ. მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს ნებისმიერი კარგი მეთაურიც კი ოთხწლიან ციკლში ვერ ასწრებს თავისი უნარის სრულყოფილად გამოვლენას, ამიტომ მას ხელმეორედ ირჩევენ.

**ვაჟა ჟღენტი,**
საბჭოური პერიოდის საქართველოს
პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე.

## ინფორმაცია

### „როსპოტრებნადზორის" სპეციალისტთა მეორე ვიზიტი, სავარაუდოდ, 1 აპრილს შედგება

**„როსპოტრებნადზორის" სპეციალისტების საქართველოში მეორე ვიზიტი, რომელიც 25 მარტს იყო დანიშნული, სავარაუდოდ, 1 აპრილს შედგება. ამის შესახებ „რია ნოვოსტი" იუწყება.**

**— საქართველოს ღვინის მწარმოებელი კომპანიებისა და მინერალური წყლების საწარმოების შესამოწმებლად „როსპოტრებნადზორის" ექსპერტთა ჯგუფის გამგზავრების საორიენტაციო თარიღი 2013 წლის 1 აპრილია, — ნათქვამია რუსეთის სანიტარიული სამსახურის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.**




**როგორც „რია ნოვოსტი" სანიტარიულ სამსახურზე დაყრდნობით იტყობინება, ამ დროისთვის „როსპოტრებნადზორში" რუსეთის ალკოჰოლური ბაზრისთვის განაცხადი 59 ქართულ საწარმოს აქვს შეტანილი, რომელთაგან 37 ყველა საჭირო ინფორმაციას შეიცავს.**

**„როსპოტრებნადზორში" აცხადებენ, რომ საქართველოში მეორე ინსპექტირება საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან გრაფიკის შეთანხმების შემდეგ განხორციელდება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ᲕᲘᲗᲐრᲔᲑᲐ**




# „ყაზტრანსგაზი-თბილისი": დარღვევები, საბოტაჟი...

**რᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღის წინათ „ყაზტრანსგაზი – თბილისის" დიაგნოსტიკური ლაბორატორიის თანამშრომლები გაიფიცნენ. მათი მოთხოვნა იყო ხელფასების ზრდა, შრომითი პირობების გაუმჯობესება, განთავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში დაბრუნება და ტექნიკური აღჭურვილობის გადახალისება.**

„ყაზტრანსის" პრესსპიკერმა ეკა სარიამ განაცხადა, რომ ხელმძღვანელობა შეხვდა გაფიცულთ და აუხსნა მათ, რომ კომპანია მართვის სპეციალურ რეჟიმშია და მათი მოთხოვნა ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით ვერ სრულდება, მით უმეტეს, რომ გაზის ფასმა 5 თეთრით დაიკლო.

გაფიცულები აცხადებენ, რომ 2009 წლამდე ლაბორატორიაში, გარე სამუშაოებზე 300 კაცი მუშაობდა, შემდეგ 36-მდე შემცირდა. დღეს 15-იღა დარჩნენ. ისინი მოითხოვენ ძველ პირობებში აღდგენას და განთავისუფლებულთა სამუშაოზე დაბრუნებას, რაზეც ხელმძღვანელობა გამაოგნებელ პასუხს იძლევა – მათი (გაფიცული თანამშრომლების) განთავისუფლებას არავინ აპირებს. თუ ვინმე ხელფასის გამო აპირებს წასვლას, ჩვენ მათ ხელს არ შევუშლით?!

გაფიცულთა ყველაზე დამაფიქრებელი მოთხოვნა ტექნიკური აღჭურვილობის საკითხია. ლაბორატორია ადგენს მიწისქვეშა მილების აფეთქების რისკებს. გაზმომარაგების ქსელები 40-50 წლისაა. ექსპლოატაციის ვადა გასულია, რის გამოც ხშირია მილებიდან გაჟონვის შემთხვევები. ხშირია აფეთქებები. შარშან ამას 2 ადამიანი შეეწირა. წელს ძლიერი აფეთქება მოხდა ქორწინების სასახლესთან, რასაც, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ მნიშვნელოვნად დაზიანდა შენობები. დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელის სოსო სიმონიშვილის განცხადებით, ტექნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით მან მიმართა პარლამენტს, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროებს. მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტრო გამოეხმაურა წერილს.

კომპანიის ხელმძღვანელობა ეთანხმება გაფიცულთა მოსაზრებებს მოძველებული ტექნიკური აღჭურვილობის თაობაზე, თუმცა, არაფერს ამბობს მათი განახლებისა და გადაიარაღების შესახებ.

გაფიცვა გამაფრთხილებელი იყო და ლაბორატორიის თანამშრომლები მალევე დაიშალნენ.

## ᲡᲐᲑᲝᲢᲐᲟᲘ ᲗᲣ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲓᲔᲕᲜᲔᲑᲐ?

**რᲝᲒᲝრᲪ კი ბიძინა ივანიშვილმა ფქვილის და, აქედან გამომდინარე, პურის გაიაფების თაობაზე განაცხადა, მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა. თუმცა, ხალხის კმაყოფილება ხანმოკლე აღმოჩნდა. მართალია, მეპურეებმა პროდუქციის ფასი შეამცირეს, მაგრამ ეს არ გაუკეთებიათ მაღაზიათა მეპატრონეებს. მათ ძველი ფასებით განაგრძეს ვაჭრობა. ექსპერტთა მტკიცებით, ეს საბოტაჟი კი არა, ვაჭრული მენტალიტეტია – მოგებას გამოდევნება. სულ სხვა საქმეა „ყაზტრანსგაზი – თბილისის" მიერ გადადგმული ნაბიჯი.**

გამომდინარე იქიდან, რომ პურის ფასი მოსახლეობის ყოფაზე დიდ გავლენას ახდენს, რამდენიმე წელია, პურის საცხობები მცირე შეღავათებით სარგებლობენ და გაზს შედარებით დაბალი ტარიფებით ყიდულობენ. კერძოდ, თუ კომერციული სექტორისათვის 1 კბმ ბუნებრივი აირის ღირებულება 75 თეთრია, მეპურეებისთვის 69 თეთრის ტოლია. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსახლეობისთვის გაზი 5 თეთრით გაიაფდა, თონეების მეპატრონეებმა „ყაზტრანსგაზიდან" შეტყობინება მიიღეს, რომ პირველი აპრილიდან 1 კბმ გაზში, ისინიც 75 თეთრს გადაიხდიდნენ. აღნიშნული დაადასტურა პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ეკა სარიამაც.

„იფქლის", შპს „პურის", პურის მეოთხე ქარხნის დირექტორები ერთხმად აცხადებენ, რომ ბუნებრივ აირზე ფასის ზრდა დიდ გავლენას იქონიებს ფასწარმოქმნაზე, რითაც ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველნი დაზარალდებიან.

ტარიფის ზრდა შემდეგნაირად განმარტეს კომპანიაში: პურის საცხობებსა და კიდევ რამდენიმე ორგანიზაციას აქვს სხვადასხვა ტარიფი. ყველა დანარჩენისათვის ფასი ერთია – 75 თეთრი. შესაბამისად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ნებისმიერ ორგანიზაციას გაზი ერთი ტარიფით – 75 თეთრად მიაწოდოს. ენერგეტიკის სამინისტროში მოგვიანებით დაიბარეს „ყაზტრანსგაზის" მმართველი ანა თაქთაქიშვილი. შედგა მოლაპარაკება, რომლის შემდეგაც მინისტრის მოადგილემ ილია ელოშვილმა განაცხადა, რომ მართალია, პურის საცხობებმა მიიღეს შეტყობინება გაზის გაძვირების თაობაზე, მაგრამ მათთვის ეს არაფერს ცვლის. ისინი ძველებურად მიიღებენ გაზს 69 თეთრად, მართალია, კარს მომდგარი მოსალოდნელი სკანდალი ჩაცხრა, მაგრამ პასუხგაუცემელი ჩნდება კითხვა, რა იყო ეს საბოტაჟისა თუ მოსალოდნელი მოგების გაზრდის მცდელობა?

## ᲓᲐᲒრᲝᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲚᲔᲑᲘ

**„ᲧᲐᲖᲢრᲐᲜᲡᲒᲐᲖ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ" საქართველოს წყალმომარაგებისა და ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სპეციალური მმართველი ჯერ კიდევ 2009 წელს დაუნიშნა. იმ დროს კომპანიას 80 მლნ ლარის დავალიანება ჰქონდა, აქედან 70 მლნ „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა".**

გაურკვეველი მიზეზების გამო, მოგვიანებით კორპორაციის ვალი მთლიანად ფინანსთა სამინისტროს გადაეცა. ამჟამად „ყაზტრანგაზი" მხოლოდ ამ სამინისტროსადმია ანგარიშვალდებული. კომპანიას ვალი არ დაუფარავს. ამას ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე აცხადებს. გამოდის, რომ ახალი მმართველის პირობებში 3 წლის განმავლობაში კომპანიას სახელმწიფოს ვალი – 70 მლნ ლარი ერთი თეთრითაც არ შეუმცირებია. კომპანიაში კი აცხადებენ, რომ ახალმა მმართველმა შესძლო ძველი ხელმძღვანელობის დროს მათთვის დადებული მილიონობით ჯარიმასაურავის გადახდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ყაზტრანსგაზს" თითოეულ გადაცილებულ დღეზე დავალიანების 0,05 პროცენტი ერიცხება. გამოდის რომ საურავის სახით მას 3 წელიწადში 30 მლნ ლარზე მეტი აქვთ გადახდილი. ამავე დროს კომპანიაში აღნიშნავენ, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში მათ ახალი ვალები აღარ დამატებიათ.

ცოტა ხნის წინათ საქართველოში ვიზიტად მყოფი ყაზახეთის დელეგაცია საქართველოს ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს სთხოვდა „ყაზტრანსგაზში" ყაზახური მენეჯმენტის დაბრუნებას (მსგავსი განცხადებები პერიოდულად წინა ხელისუფლების დროსაც კეთდებოდა), მაშინ, როდესაც სწორედ ყაზახურმა მენეჯმენტმა მიიყვანა კომპანიის ფინანსური მხარე ამ დონემდე.

დავალიანებასთან დაკავშირებით ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე „ყაზტრანსგაზის" ინვესტორებს თბილისში ჩამოსვლასა და საქმიანი მოლაპარაკებების დაწყებას სთავაზობს. კალაძე საქმეს სახელმწიფოებრივი კუთხით უდგება და აცხადებს, რომ საქართველოს ყაზახეთის 100 მლნ დოლარის ვალი აქვს და შესაძლებელია, კომპანიის დავალიანება ამ ვალში ჩათვლილიყო.

მაგრამ ყაზახი ინვესტორები ფეხს ითრევენ.

## რᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ?

**რᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღეა „ყაზტრანსგაზ-თბილისს" ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური სტუმრობს. სამინისტროში მიზეზს არ ასახელებენ . ამ უწყების პრესსამსახურის უფროსის ნათია სუხიაშვილისთვის უცნობია კომპანიაში შესვლის მიზეზი. მიზეზი სტუმრობისა უცნობია „ყაზტრანსგაზ-თბილისის" სპიკერის ეკა სარიასთვისაც.**

გაირკვა მხოლოდ ის, რომ კომპანია ინვენტარიზაციის პროცესშია. სპეციალისტთა ვარაუდით, იმის გამო რომ კომპანიას მილიონობით ლარის დავალიანება აქვს სახელმწიფოსადმი, ვერ ფარავს მას, ხოლო ყაზახი ინვესტორები, მიუხედავად კალაძის მოპატიჟებისა, ვიზიტზე თავს იკავებენ, სახელმწიფომ საჭიროდ ჩათვალა კომპანიის ქონებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მოპოვება.

სპეციალისტების მოსაზრებით, ყაზახები ან კომპანიის დავალიანებას სახელმწიფოთა შორის ვალში გაქვითვას უნდა დასთანხმდნენ ან დავალიანების გამო მათ კომპანია ჩამოერთმევათ.

**ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲚᲘᲮᲝᲫᲔ**

**ᲬᲐᲗᲐᲥᲔᲑᲐᲜᲘ**

# ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓრᲔᲝᲑᲘᲡ „ᲑრᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲐ"

**ᲗᲥᲛᲐ არ უნდა, შარშანდელი პირველი ოქტომბრის არჩევნების, ნაცთა „შაჩვენების" და შედეგად ნაჩვენების შემდგომ მოსულ, პოსტსაბჭოურ დროში რიგით მეოთხე ქართულ ხელისუფლებას ერთობ მძიმე მემკვიდრეობა ერგო (თუ დახვდა). პატივცემულ მკითხველს ვთხოვ მოთმინებით აღჭურვას და გრძელზე გრძელი, არაანბანური წესით შედგენილი ამ სიის გაცნობას („მემკვიდრეობითისა"):**

სულის მღაფავი ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა, დაცარიელებული სოფლები; გასანათებელი განათლება და ლახვარჩაცემული მეცნიერება; გასხვისებულ-გაყიდული სტრატეგიული ობიექტები, მიწები, ტყეები, „ვიშ, რა ლამაზად რომ მოჩანდა" საწიოკე მთები; ოჯახების გამოსაკვებად და სარჩენად პატარა ქვეყნიდან საზღვარგარეთის დიდ ქვეყნებში გადახვეწილთა ვეებერთელა ციფრი; ნაწამებ-ნატანჯ-ნაცოცხარი პატიმრები, ქუჩებში უმოწყალოდ ჩახოცილთა ჩრდილები; ასევე ბლომად გაუხსნელი ხმაურიანი თუ უხმაურო მკვლელობები, სამახსოვრო-სამარცხვინო 7 ნოემბერი და 26 მაისი; თურქებით, ჩინელებით, ინდოელებით და „разными прочими шведами" გაძეძგილი ქართული ტერიტორიები; დასაპატიმრებელი, მაგრამ დაუპატიმრებელი თუ ვერდაპატიმრებული, ბუზაუფრენელი დიდკაცები და დიდქალები; ხშირად უაზროდ გადაყრილ-გაფლანგული მილიონები თუ მოსახლეობის, ხაზინის ხარჯზე გამილიონერებულ-გამილიარდელებული ხელისუფალნი (ხვეჭისუფალნი!); თბილისიდან ქუთაისში ყოვლად გაუმართლებლად (თვითონ რომ გამართლებული ჰგონიათ), სულელურად, ერთი კაცის ხუშტურის წიაღ გადაგორებული პარლამენტი და თბილისში დარჩენილი, გამოფატრული შენობა იმავე პარლამენტისა... რითია „შინდლერის სიაზე" ნაკლები ნუსხა!.. „მძვინვარებს" კიდევაც შესაბამისად...

ისე, სამართლიანი თუ ვიქნებით, პოსტნაცურ სივრცეში, იმ მძვინვარეში, ნათელი მხარეებიც დაიხვედრა ახალმა ხელისუფლებამ და მოივარგა კიდეც: მაღალი ხელფასები, უხვი პრემიები, „მდაბალი", მაგრამ „ლაშქარმრავალი" საზღვარგარეთული ვოიაჟ-მივლინებები... ქაროცნეს ელიტას რომ ჰკითხო, დაუჟინიათ – სულ ოთხიოდ თვეა, რაც ხელისუფლებაში მოვედით (არადა, ნახევარი წელი იწურება აგერ – 2012 X-XI-XII პლუს 2013 I-II-III), რა უნდა მოგვესწროო. ხელფასები, პრემიები, მივლინებები ხომ კარგად (და ბლომად!) მოასწრეს!!! მაგალითად, შარშანდელ დეკემბერში მთავრობის კანცელარიის უფროსს, ქალბატონ მაიას 12 390 ლარი(!) მიუღია, თანაც, პრემიერის ბრძანებით! იმავე დეკემბრის 20 დღეში იმავე კანცელარიაში ჯამურად 340 000 ლარზე მეტი პრემია გამოუწერიათ! რა ენაღვლებათ, როცა ჰყავთ გულუხვი და ფულუხვი პრემიერი, იწერონ და იწერონ პრემიები! თხა თხაზე ნაკლებიო (პარლამენტია ერთი თხის როლში და მთავრობა მეორისა) და ახლა პარლამენტართა „აპრემიალება" ვნახოთ: დავით უსუფაშვილი – 9162 (ლარებში აქ და ქვემოთ); მურმან დუმბაძე – 8831; მანანა კობახიძე – 8662, ზურაბ აბაშიძე – 8589; ზვიად ძიძიგური – 8562; აი, ასეთ მაგალითს იძლევიან სპიკერი და იმისი ვიცეები პრემიების „გარტყმისა"; და იმ მაგალითს რიგითი „აცეებიც" აიტაცებენ – თუნდაც ზურაბ ტყემალაძე 7362-ლარიანი; მილიონრად რომ მახსოვს ჯერ კიდევ „მეზოზური" ხანიდან; მაგას მაინც რა „პრემიობა" აუტყდა; თუნდაც შეურიგებელი ანტინაცი ზაქარია ქუცნაშვილი (7504 ლარი), ამორძალი იურისტი ეკა ბესელია (7362 ლარი)... პენსიონერებს 150 ლარამდე გავუზრდით თვიურ სარგოსო და ეს გვარიან საოცნებო მონაპოვრად მიაჩნიათ (არადა, ჯერ „გაუზრდელია", ხომ...); შეადარეთ პენსია – მაგათი ხელფასი და პენსია – მაგათი პრემია – „რა შორი გზაა, რა აღმართია"! ახლა მივლინებები უცხოეთში! 4 თვე ცოტაა რაიმეს მოსასწრებადო და ნახევარი მსოფლიოს შემოფრენა (თუ მეტის არა) გვარიანად მოასწრეს, თანაც რამდენჯერმე! თანაც კიდევ ისა, რომ გაფრენის წინ გვარწმუნებენ, იქ მნიშვნელოვანი შეხვედრები გვექნებაო. ჩამოფრენის მერე ირწმუნებიან, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები გვქონდაო. ეგ მნიშვნელოვნება კი არც ქვეყანას ეტყობა არცარით და არც ცხოვრებას; იმისთვისაც ვერ მიუღწევიათ, რომ საზღვარგარეთ ამ გიჟი ყავლგასულისა და სხვა ელიტნაცთა ახალი ხელისუფლების მისამართით დემაგოგია, ცილისწამება თუ ლანძღვა-გინება გაანეიტრალონ...

დიახ, პატივცემულო ქაროცნელნო, არ გამოგდით ლამაზად, რომ ნაცთაგან მემკვიდრეობად, „ინერციულად" გადმოიღეთ და დაიტოვეთ „საბრწყინვალე" შრეები – მაღალ-მაღალი ხელფასები, პრემიები, ხშირ-ხშირი, გრძელ-მოკლე, არცთუ მცირერიცხოვანი უცხოური ვოიაჟები. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის, ვითარების, სოციალური ფონის გათვალისწინებით არ გამოგდით ლამაზად!

მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი დიდი დანაშაული ხომ სწორედ ისაა, რომ მმართველობის ამდენი წლის სიგრძეზე ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო და არის, ფუფუნებით ცხოვრების, აღმა-დაღმა, ზემოთ-ქვემოთ გრიალის ნება მისცა თავს; უბრალოდ სათქმელად, უწესო ცხოვრების ნება მისცა თავს; რომ უგულებელყო, ვერ მოივარგა ჭაბუა ამირეჯიბის აღმოჩენილი „მსოფლიო მიმზიდველობის კანონი": ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე; მოვარგება კი ამგვარი იქნებოდა: პრეზიდენტობაც ჯერ წესია და მერეა პრეზიდენტობა.

ამჟამინდელ მინისტრებსა და პარლამენტარებს კი „მსოფლიო მიმზიდველობის კანონის" (ჭაბუა ამირეჯიბის კანონის) ამნაირ ვერსიებს შევთავაზებდი: ჯერ წესია მინისტრობა და მერე მინისტრობაა მინისტრობა, ჯერ წესია პარლამენტარობა და მერე პარლამენტარობაა პარლამენტარობა. ნუ მოისაწყლებთ მინისტრ დავით ნარმანიასავით თავს – რას ვიზამთ, სამსულიანმა ოჯახმა 5000 ლარი თვიური ხელფასი უნდა ვიმყოფინოთო. სანამ მორჩენილი, დარჩენილი, არასრულიად საქართველო, მისი დარჩენილი მოსახლეობა ასეთ ყოფაშია, ასეთ დღეშია, იქონიეთ სათანადო შეგნება, იგრძენით სათანადო პასუხისმგებლობა და ცოტა მოკრძალებულად იცხოვრეთ; ნუ იცხოვრებთ გრძელოსებურად...

**ᲑᲔრᲓᲘᲐ ᲑᲔᲓᲝᲘᲫᲔ**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო სააკაშვილის დროის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვას იწყებს

## იუსტიციის სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში უსამართლო ვერდიქტებზე დაახლოებით 10 ათასი საჩივარი შევიდა

**საქართველოს ახალი ხელისუფლება გადასინჯავს საეჭვო სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მართვის პერიოდში 2004-2012 წლებში. იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი სპეციალური კომისიის მინიმუმ სამი წლის ვადით შექმნის შესახებ, ანდა პალატისა 15 სპეციალისტის შემადგენლობით. ისინი შეისწავლიან შემოსულ მიმართვებს და დაადგენენ, იყო თუ არა გამოტანილი უსამართლო ვერდიქტები და როგორ გამოვასწოროთ ისინი. ახალ ორგანოს ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოს ქართულ ანალოგად მიიჩნევენ.**

პარლამენტის პროცედურული საკითხებისა და რეგლამენტის კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა ჩვენ გაზეთთან საუბარში აღნიშნა, რომ კანონი აპრილში იქნება მიღებული. ამისთვის აუცილებელია უმრავლესობა პარლამენტში, რაც „მეოცნებეებს“, რომლებმაც 85 მანდატი მიიღეს, აქვთ.

იუსტიციის სამინისტროში გვაცნობეს, რომ მათთან და მთავარ პროკურატურაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შემოვიდა სულ ცოტა 10 ათასი მიმართვა თხოვნით, გადაისინჯოს სასამართლოების ვერდიქტები. იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ ასეთი კომისიის შექმნა არის ერთადერთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ სამართლიანობა.

— 20 ან 30 საქმეც რომ გადაისინჯოს, ეს გაზრდის ნდობის დონეს მთელი სისტემისადმი, — თქვა მინისტრმა.

პრეზიდენტი, როგორც თბილისში მიაჩნიათ, კვლავ აგრძელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით სასამართლო სისტემის კონტროლს. მაგრამ, როგორც თეა წულუკიანი ამტკიცებს, მალე მიღებული იქნება ცვლილებები „კანონში საერთო სასამართლოების შესახებ“, რომლებიც ჩამოართმევენ სააკაშვილს სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენის ბერკეტებს.

თუმცა თბილისში არის სხვა აზრიც. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, მაგალითად, საქმეების გადასინჯვის წინააღმდეგია.

— ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს სამართალდაცვის მთელი სისტემის, მთელი საზოგადოების სტაბილურობის საკითხს. ბევრი გადაწყვეტილება უკვე შესრულებულია, მათ შორის ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით. საქმე შეიძლება მივიდეს სამოქალაქო დაპირისპირებამდე, — აღნიშნა მან.

ასეთ მიდგომას არ ეთანხმებიან იუსტიციის სამინისტროში, სადაც, ჩვენი მონაცემებით, შეიმუშავეს საქმეთა გადასინჯვის მკაცრი კრიტერიუმები. იმისთვის, რომ ეს საქმეები მივიდეს გადამწყვეტ ინსტანციამდე — კოლეგიამდე, მათ უნდა გაიარონ რამდენიმე ეტაპი. მაგალითად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კომისია განსახილველად მიიღებს მხოლოდ მათ, რომელთა წინა ვერდიქტის ქვედა თამასა — 100 ათასი ლარია (დაახლოებით 60 ათასი დოლარი). ასევე გულდასმით იქნება შერჩეული სისხლის სამართლის-პროცესუალური საქმეები. უწინარეს ყოვლისა, საკითხი შეეხება მათ, სადაც არ იყო გათვალისწინებული ევროპული ექსპერტების რეკომენდაციები. ანდა იმ სიტუაციებზე, სადაც დადგენილი იქნება, რომ მხედველობაში არ იქნა მიღებული ადვოკატების არსებითი არგუმენტები.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ გადასასინჯად ასეთი შერჩევის შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შემოსული მიმართვების, საორიენტაციოდ მეოთხედი ნაწილი. განსაკუთრებით მტკივნეულია ქონებრივი დავები. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მართვის პერიოდში დაფიქსირებული იყო ასობით შემთხვევა, როდესაც ბიზნესმენები მოულოდნელად თავიანთ საქმეებსა და ქონებებს გადასცემდნენ სახელმწიფოს. და ყველაზე ხშირად ეს ნოტარიულად რეგისტრირებული იყო ღამის პერიოდში. ახლა ბევრი მეწარმე მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას, აცხადებს მათზე ზემოქმედების შესახებ სააკაშვილის გუნდის მხრიდან წინა წლებში.

რაც შეეხება სასამართლო კორპუსის პასუხისმგებლობას, ამაზე უნდა იმუშაოს იუსტიციის საბჭომ, რომლის დაკომპლექტების პრინციპის გადასინჯვასაც აპირებს „ქართული ოცნება“ პარლამენტის 3 აპრილის სესიაზე. მასში დარჩება 15 წევრი. მაგრამ მათ დანიშნავს არა პრეზიდენტი, არამედ თავად მოსამართლეთა კონფერენცია და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა წარმომადგენლები. საბჭოს კანდიდატები მხარდაჭერას მიიღებენ პარლამენტის უმრავლესობის მიერ. სააკაშვილს განზრახული აქვს დაადოს ვეტო ამ ცვლილებებს. საკითხის გადალახვისთვის საჭიროა დეპუტატების 90 ხმა. ერთხელ — შარშან, წლის ბოლოს, „ამნისტიის შესახებ კანონის“ კენჭისყრის დროს — „მეოცნებეებმა“ შეძლეს მათი მოგროვება.

— 2004-დან 2012 წლის ჩათვლით, სასამართლოები იყო „ნაციონალების“ დიქტატის ქვეშ, და სააკაშვილს უჭირს დაკარგოს მათზე კონტროლი. ჩვენ გადავარჩენთ მათ პოლიტიკური წნეხისგან, რეალურად ვაქცევთ დამოუკიდებლობას. აუცილებლობის შემთხვევაში დავძლევთ პრეზიდენტის ვეტოსაც, — განაცხადა პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ („ქართული ოცნება“).

პრეზიდენტის აუდიენციაში ჩვენს გაზეთს განუმარტეს, რომ ცვლილებები „კანონში საერთო სასამართლოების შესახებ“ არ ითვალისწინებენ ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციას. იქ მიაჩნიათ, რომ სამართალდაცვა აღმოჩნდება მთავრობის კონტროლის ქვეშ, ამიტომ ცვლილებების მიღება შეიძლება ნეგატიურად აისახოს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ტემპებზე.

ИЗВЕСТИЯ



# დედამიწის ზურგზე

### ბერეზოვსკის აღმაფრენა და დაცემა: „კატასტროფაზე“ ყველაზე მეტი მოიგო რუსეთმა, თავად კი უფსკრულში გადაიჩეხა



მაგნატის გარდაცვალების უცნაურ ვითარებათა გარდა, ბევრს აოცებს მისი ცხოვრების გარემოებანი. ოდესღაც ქვეყანაში უმდიდრესი ადამიანი იძულებული გახდა, ეცხოვრა დევნილობაში და შედეგად „გარდაიცვალა ღარიბად“. „არც ერთ სხვას არ მოუგია იმდენი რუსეთის უფსკრულისკენ წასვლისგან“, — წერდა მის შესახებ ჟურნალისტი პოლ ხლებნიკოვი, მოგვიანებით მოკლული. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი საუბრობენ რუსი ოლიგარქის ბედისწერის შესახებ.

### ჩამოხრჩობილი ბერეზოვსკი გარდაცვალებამდე ხუთი დღის განმავლობაში დაცვის გარეშე იყო

მცველის — სავარაუდოდ „მოსსადის“ ყოფილი თანამშრომლის — დამოწმებით, ბიზნესმენი იწვა იატაკზე აბაზანაში მთლიანად ჩაცმული, არც სისხლის კვალი, არც რაიმე ჩანაწერი არ ყოფილა. როდესაც შეუმოწმა პულსი, მცველმა გამოიძახა მედიკოსები და მათ დააფიქსირეს გარდაცვალება. ეს პიროვნება იყო ბერეზოვსკის ერთადერთი მცველი. ბერეზოვსკი იძულებული იყო, გაეთავისუფლებინა დანარჩენები.

### „გაითვალისწინეთ, ის არ არის მორდოვეთში“. დეპარდიეს საფრანგეთში მოპარეს სკუტერი, რომელზეც მან ავარია მოახდინა



საფრანგეთ-რუსეთის მსახიობმა აცნობა პოლიციაში გადაადგილების თავისი საყვარელი საშუალების მოპარვის შესახებ, რომელიც მან დააყენა პარიზის ქუჩაში. სწორედ ამ სკუტერით მოხვდა იგი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში ნოემბერში, როდესაც უჯდა საჭეს არაფხიზელ მდგომარეობაში. ადგილობრივმა პრესამ ირონიული რეაგირება მოახდინა.

### ორი კოლუმბიელი ტორიადორი-თვითნასწავლი დაიღუპა ხარებთან სირბილის დროს – ერთ-ერთს ცხოველმა რქა გულში „გაურჭო“



მამაკაცები დახოცეს გაავებულმა ცხოველებმა, კიდევ 44 კაცმა მიიღო სხვადასხვა სახის ჭრილობა. „კორალეხა“ ეწყობა თვითნაკეთ არენაზე, სადაც უშვებენ ათობით ხარსა და მწვავე შეგრძნებათა მოყვარულებს. მიუხედავად ცხოველთა დამცველების პროტესტისა, ამგვარი შოუ ეწყობა რეგულარულად.

### ესპანეთის ავიაკომპანიამ ჰელსინკში პეტერბურგში მიმავალი მგზავრები გადმოსვა და უბრძანა მათ, თავად ჩავიდნენ რუსეთში




ავიაკომპანია „უილინგ აირლაინის“ თვითმფრინავი გამოფრინდა ესპანეთიდან გასულ კვირას ღამით, დილით ადრე ის უნდა დამჯდარიყო პეტერბურგში, მაგრამ რუსეთის ფედერაციაში ბორტის მიღებაზე უარი განაცხადეს. ჰელსინკში მგზავრები მიიყვანეს სარკინიგზო სადგურამდე, აცნობეს, რომ ისინი დანიშნულების ადგილამდე უნდა ჩავიდნენ დამოუკიდებლად.

### იმიგრანტმა და ხუთი შვილის მამამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლატარიაში 338 მილიონი დოლარი მოიგო



დომინიკელი პედრო კესადა ნიუ-ჯერსიდან გახდა ლატარიის ბედნიერი ბილეთის მფლობელი, რომელიც მან ადგილობრივ ლიქიორ-წყლის მაღაზიაში შეიძინა. გადასახადების გადახდის შემდეგ მისმა მოგებამ 152 მილიონი დოლარი შეადგინა. გასტრონომის გამყიდველი ამ ფულის დახარჯვას აპირებს ოჯახისთვის.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოცემა

# ცივი ომიდან ბერლინის კედლამდე

**ათეულობით წელია, რაც ეს კაცი აქტიურადაა „მიერთებული“ საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაზე, როგორც პრაქტიკული საქმიანობით, ისე ღრმა მეთვალყურეობით, აგრეთვე ჩინებული „ლიტერატურობით“ დაწერილ მონოგრაფიებში განსაკუთრებული მოვლენების აღწერითა თუ გადმოცემით.**

„ეს კაცი“ ზურაბ აბაშიძე გახლავთ, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ხელმძღვანელი, სამეცნიერო-პედაგოგიურ სარბიელზეც გამორჩეული, ახლა კიდევ ფრიად საპასუხისმგებლო მისიით — რუსეთის ფედერაციის ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლობით დაკავებული.

საბჭოურ ხანაში, დიპლომატის რანგით, ბატონი ზურაბი ნამსახურევია ატაშედ ბომბეიში, საელჩოს მრჩევლად მადრიდში; პოსტსაბჭოურში დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი იყო ბენილუქსის ქვეყნებში, ნატოსა და ევროკავშირთან, რუსეთის ფედერაციაში.

წიგნებს რაც შეეხება, ბოლო წლების ორ საგულისხმო მონოგრაფიას „ცივი ომი: წარსული თუ დღევანდელობა?“, „ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისკენ“, აგერ ახლახან მესამეც მიემატა, ასევე საინტერესო, „დანგრეული კედლის ჩრდილში“-დ წოდებული და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში დასტამბული. ამრიგად, ზურაბ აბაშიძის ავტორობით შეიკრა ერთგვარი ტრილოგია, თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური იერის ამსახველი.

ეს ახალი, 332-გვერდიანი ნაშრომი 1990-1999 ათწლიანი მონაკვეთის საერთაშორისო გახმაურებულ ამბებს ეხება. სწორედ 1990-იანში უთქვამს ნობელიანტ გერმანელ მწერალს: „ბერლინის კედელი დაინგრა, მაგრამ მისი ჩრდილი კვლავ ეფინება მსოფლიოსო“. ჰოდა, ამ გამონათქვამიდანაა ნასესხები წიგნის სათაური და მსოფლიო მოვლენებიც იმ „მოფენილ ჩრდილშია“ განხილული: საბჭოთა კავშირი გუშინ, დღეს, ხვალ... „ქარიშხალი უდაბნოში“ და ერაყის დაუსრულებელი ტრაგედია; გერმანიის გაერთიანება: ძველი ევროპის ახალი სახლი... იუგოსლავია: ჯოჯოხეთი ტურისტულ სამოთხეში... ჩვენი დროის „გმირი“ — საერთაშორისო ტერორიზმი... ერთპოლუსიანი მსოფლიო; აშშ და გუნდი მისი; კოსოვოს სახიფათო პრეცედენტი... — სარჩევიდან ამოკრეფილი თავების სათაურთა ამ არასრული ჩამონათვალიდანაც ჩანს, თუ რაოდენ მრავალფეროვანია „დანგრეული კედლის“ (სახელწოდების შემოკლებით) თემატიკა და რა საგულისყუროა აქ გაანალიზებული პრობლემები.

როგორც ავტორი შენიშნავს (წინათქმაში), წიგნი ნაკლებად ეხება არჩეული პერიოდის საქართველოს (ანუ 1990-1999 წლებისა), რადგან ამ თემის გარშემო უკვე არსებობს დიდძალი ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე და ყურადღების საგნად მსოფლიოში მომხდარ იმ მთავარ ამბებს აქცევს, რომლებიც ქართულ წყაროებში ნაკლებადაა გაშუქებული; მთელი ნაშრომი ამ ნაკლებობის შევსების შესანიშნავ ილუსტრირებად წარმოდგება.

ერთობ შთამბეჭდავია თუნდაც მონაკვეთი „ჩვენი დროის „გმირი“ — საერთაშორისო ტერორიზმი; ზურაბ აბაშიძის ბრალი როდია, თუ ტერორიზმზე, ამ საშინელებაზე საუბარი ასეთი გამოუვიდა; მსოფლიო ისტორიაში უძველესმა მოვლენამ, ტერორიზმმა, ჩვენს დროში „ახალი მოთამაშის“ ნიღაბი მოირგო, საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა და სულ უფრო მეტი თავხედობით იმკვიდრებს ადგილს „მზისქვეშ“. ადეკვატური (ანუ სულ უფრო მეტი) წინააღმდეგობა კი, სამწუხაროდ, არ ხვდება...

მონოგრაფიის ადრესატად ავტორი უმთავრესად მიიჩნევს იმ თაობას, რომელიც 1990-იან წლებში, ან უკვე XXI საუკუნეში მოევლინა სამყაროს. „შესაბამისად“ წიგნს შვილიშვილებს — მიმდინარე საუკუნის მოქალაქეებს უძღვნის.

ჰოდა ყველა ასეთ მოქალაქეს — ბატონი ზურაბის, ჩემს, სხვათა და სხვათა შვილიშვილებს უკეთესი, იმგვარი საქართველოს დახვედრასა და მოსწრებას ვუსურვებ, რომელიც გამოსული იქნება მარტო ბერლინის კედლის კი არა — აფხაზეთთან „კედლის“, სამხრეთ ოსეთთან (ეგრეთ წოდებულია თუ წოდებული) „კედლის“ ჩრდილებიდან... ერთხელ და სამუდამოდ გამოსული...

...ზურაბ აბაშიძეს სამსახურში, ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში ვეწვიე, კარგი ნაშრომი მივულოცე და არც მცირე გამოსაუბრების შემთხვევა გავუშვი.

**— ბატონო ზურაბ, მოულოდნელი ხომ არ იყო თქვენთვის, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა რუსეთთან მომლაპარაკებლის მისია რომ შემოგთავაზათ?**




— აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა შემოთავაზებაცა და თვით სტატუსიც — საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში.

**— ამ მომენტისათვის როგორ უნდა გვესახებოდეს ეს „ურთიერთობის საკითხები“?**

— თვალმისაწვდენ მერმისში უთუოდ გამოჩნდება რაღაც შედეგები, წინსვლა, პროგრესი, თუმცა უმთავრესად ვაჭრობის, ბიზნესის, კულტურული თუ სატრანსპორტო კავშირების აღდგენა-განვითარების მიმართულებებით.

**— რუსეთის წარმომადგენელს იმსიშორეს, შვეიცარიაში თუ პრაღაში რომ ხვდებით, არ შეიძლება შეხვედრები უფრო ახლოს, მორიგეობით სოჭსა და ბათუმში გადმოვიდეს, პრაქტიკულად უფრო მოსახერხებელი და „დამთბობი“ არ იქნება?**

— მოგეხსენებათ, ჟენევა სხვა კონტაქტების ადგილიც არის, ჩნდება ფსიქოლოგიური სიძნელეები, „გადახლართვები“ — ამიტომ შვეიცარიაზე უარი ვთქვი და შემდგომი შეხვედრაც, თეორიულად, პრაღაში გაიმართება. სამომავლოდ, ალბათ, ახლოს გადმოვინაცვლებთ ჯერჯერობით კი საამისოდ ნიადაგი არაა მომზადებული.

**— გრიგორი კარასინს თუ იცნობდით ადრე, რუსეთში თქვენი ელჩობისას?**

— ის გამოცდილი დიპლომატია, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი და მინისტრის მოადგილე. წლების განმავლობაში ვიცნობდი, რაც ნამდვილად რგებს ჩვენი დიალოგის წარმართვას.

**— ბატონო ზურაბ, გულზე ხელის დადებით მითხარით — შინაგანად თუ გწამთ, თუ გჯერათ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება?**

— ისტორიულად ხშირად ყოფილა, რომ თითქოს ყველაფერი დაგვიკარგავს, მაგრამ მერე ვერცხლისწყალივით „ავკრეფილვართ“, გავერთიანებულვართ; რაც მოხდა, ახლა რა რეალობაც გვაქვს, იმდენად დიდი უსამართლობაა, რომ სამართალმა აუცილებლად უნდა ჭამოს პური.

ტერიტორიული გამთლიანება მალე რომ არ მოხდება, ჩემი ხუთი თითივით ვიცი; თუმცა ოდესღაც რომ მოხდება, ესეც კარგად ვიცი...

...ჩემი რესპონდენტის ბოლო „აკორდს“ გუნებაში ჩემიც ავაყოლე: ქვეყანაზე სასწაულებიც ხდება და ეგებ ეგ „ოდესღაც“ დროში შეიკვეცოს...

**თამაზ ეზანოიძე**

ახალი ნაშრომი

# გარემოს დაცვის ამოცანები საგანგებო სიტუაციებში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა გამოსცა ახალი ნაშრომი — „სამეცნიერო ნაშრომთა ციკლი, პატენტები, რომლებიც ეხება გარემოს (ჰიდროკვანძის რაიონები, მთის ლანდშაფტები) დაცვის ამოცანების სრულყოფას საგანგებო სიტუაციებში. ნაშრომის ავტორია წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გივი გავარდაშვილი**.

საქართველოს მაღლივი კაშხლების: ჟინვალის, სიონის, ლაჯანურის, შაორის და ენგურის მაგალითზე კაშხლების ჰიდროდინამიკური კატასტროფებისას გარემოზე ზემოქმედების რისკების შეფასების მიზნით ჰიდროკვანძების ნგრევის შემთხვევაში წარმოშობილი წყალდიდობის მიერ დატბორილი ტერიტორიების პროგნოზირებისათვის გადამუშავებულია „ბოლნა-2“ პროგრამის ალგორითმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს კაშხლის ნგრევის შემთხვევაში ვიანგარიშოთ ტალღის სიჩქარე, გარბენილი მანძილი და, რაც მთავარია, დატბორილი ტერიტორიის გეომეტრიული ზომები (მდინარის ღერძიდან მარჯვნივ და მარცხნივ) დროის ფაქტორის მხედველობაში მიღებით. გარემოზე წყალდიდობების ზემოქმედების შეფასების მიზნით გათვალისწინებულია აგრეთვე კაშხლების ნგრევის კოეფიციენტი, რომელთა მნიშვნელობებიც იცვლება 0.25-0.50-0.75-1.0 ფარგლებში.

ჰიდროკვანძებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ბუნების სტიქიური მოვლენებისგან გარემოს დაცვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამუშავებულია მთის ფერდობების ეროზიის 4 და 2 ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების ახალი კონსტრუქცია, ასევე მიწის კაშხლების ტანის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილია კომბინირებული დრენაჟის ახალი კონსტრუქცია, რომელთა პრაქტიკაში გამოყენება, ვფიქრობ მინიმუმამდე შეამცირებს გარემოზე ზემოქმედების რისკს, ასევე კონსტრუქციები ხასიათდება მინიმალური სამონტაჟო ხარჯებით. შვიდივე ნაგებობის მეცნიერულ-ტექნიკური სიახლის პრიორიტეტები დამოწმებულია საქართველოს პატენტის მოწმობებით.

სამეცნიერო ნაშრომთა ციკლი რომელიც შედგება ავტორის მიერ 2009-2012 წლებში გამოქვეყნებული სტატიებისაგან(100 გვერდამდე) ეხმიანება კატასტროფების შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის (ISDR) 2005-2012 წწ ჰიოგოს (იაპონია) ჩარჩო დოკუმენტს და პირდაპირ პასუხობს საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიულ პროგრამას — ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობის, მისი განვითარებისა და უსაფრთოების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის გივი გავარდაშვილის ნაშრომთა ციკლში განხილული საინჟინრო ჰიდროეკოლოგიური ამოცანები, რომლებიც ძირითადად ეხება საგანგებო სიტუაციებში ჰიდროკვანძების რაიონებში გარემოს ექსტრემალური ჰიდროდინამიკური ზემოქმედების, ავარიული ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური კატასტროფების რისკების პროგნოზირების, შეფასების და მთის ლანდშაფტებში პრევენციის სხვადასხვა ასპექტებს ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურია და ვფიქრობ იგი მალე ქართული ტექნიკური ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში მოექცევა.

**დავით კერესელიძე,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი**

## განცხადება

2013 წლის 17 აპრილს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება **„ოპიზარის“** აქციონერთა საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. № 121.

**დღის წესრიგი:**

1. 2012 წლის ბალანსის შედეგების განხილვა.
მომხს. ნ. გუმბერიძე
2. მოგების განაწილების შესახებ დამტკიცების მიღება.
მომხს. ც. მიქაძე
3. სხვადასხვა

ს.ს „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2013 წლის 4 მარტი.

ინფორმაცია

# თსუ-ში სტუდენტური კონკურსის – „მისია 2013“ პრეზენტაცია გაიმართა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსის – „მისია 2013“ პრეზენტაცია გაიმართა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ თსუ-დან აცნობეს, სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებს.**

**ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. 2013 წელს კონკურსის თანაორგანიზატორი კომპანია „ნატახტარია“.**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, „მისია“ თსუ-ში ჩატარებული კონკურსებიდან ყველაზე წარმატებულია. „სტუდენტებმა კომპანიის წარმატების საკუთარი ხედვა უნდა ჩამოაყალიბონ: როგორ უნდა გაიზარდოს ბაზარზე კომპანიის პროდუქტზე მოთხოვნა; წარმოადგინონ ინოვაციური იდეები სარეკლამო კამპანიის კუთხით, — განაცხადა კვიტაშვილმა.**

**როგორც კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია ამ სტუდენტურ პროექტში მონაწილეობა.**

**— აღნიშნული კონკურსი სტუდენტებს საშუალებას მისცემს უფრო მეტად მომზადებული შეხვდნენ მომავალ საქმიანობას და ცხოვრებას. კომპანიისთვის საინტერესოა სტუდენტთა ახალი, კრეატიული იდეები, თუნდაც კრიტიკული ხასიათის, რადგან ასეთი იდეების გარეშე კომპანიის განვითარება წარმოუდგენელია, — განაცხადა თორნიკე ნიკოლაიშვილმა.**

**მისი თქმით, კომპანია „ნატახტარი“ კონკურსში მონაწილეობის ყველა მსურველისთვის ქარხანაში საინფორმაციო ტურს გამართავს, ხოლო გამარჯვებული გუნდის თითოეულ წევრს კომპანია მარკეტინგის განყოფილებაში ორთვიან სტაჟირებას შესთავაზებს.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**დაფასება**




# მანუჩარ მაჩაიძეს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა

**ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს მანუჩარ მაჩაიძეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სამინისტროში უმასპინძლა და დაბადების დღესთან დაკავშირებით სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა. შეხვედრას მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძეც დაესწრო.**

მანუჩარ მაჩაიძე 1968 წელს ჩაირიცხა თბილისის „დინამოში", სადაც 1980 წლამდე თამაშობდა. „დინამოს" შემდეგ იყო მოსკოვის „სპარტაკის", ტაშკენტის „ფახთაქორის" და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელი. „დინამოს" მაისურით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ჩატარებულ 297 მატჩში მანუჩარ მაჩაიძემ 42 გოლი გაიტანა, 1978 წელს ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა, ხოლო 1976 და 1979 წლებში სახელოვანმა კაპიტანმა სსრკ-ს თასი აღმართა.

1974 წლის 17 აპრილს იუგოსლაველთა წინააღმდეგ პირველად ითამაშა საკავშირო ნაკრებში, საერთო ჯამში კი ქვეყნის პირველი გუნდის მაისური ოთხჯერ მოირგო.

**გიორგი შოთაძე**

**ჭადრაკი**

# მედლები და საგზურები განაწილდა

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 80-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

გოგონებში შეჯიბრების დამთავრებამდე გაინაღდა ჩემპიონობა მარიამ ჭოლაძემ, რომელიც ბოლო ტურში დას — თეა ჭოლაძეს დაუზავდა, 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალთან ერთად თანატოლებში მსოფლიოს პირველობის საგზურიც მოიპოვა, რადგან ეს ტურნირი შესარჩევი ასპარეზობაც იყო. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ევროპის პირველობის შარშანდელი პრიზიორი ნინო ხომერიკი. მე-9 ტურში იგი მშვიდობიანად დაშორდა ნინო გუმბარიძეს. კონტინენტის წლევანდელი პირველობის საგზური სწორედ მას ერგო. 6,5 ქულით მე-3 ადგილზე ნინოს და — ქეთევან ხომერიკი გავიდა, რომელმაც ბრინჯაოსთვის პაექრობაში შავი ფიგურებით ადა ქაქუთია დაამარცხა.





ამავე ასაკის ვაჟებში ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა იყოჩაღა, რომელმაც ერთი თვის წინათ 18-წლიანთა საქართველოს პირველობაც მოიგო. ბოლო ტურის წინ სამ მოჭადრაკეს ჰქონდა ჩემპიონობის შანსი: ქუმსიაშვილმა თეთრი ფიგურებით გურამ კოკაია დაამარცხა და 7,5 ქულას მოუყარა თავი. ამდენივე ქულა მოუგროვდა ლუკა ლიჩელის მძლეველ ნიკა ღვამბერიასაც, მაგრამ, რადგანაც პირადი შეხვედრა წაგებული ჰქონდა ქუმსიაშვილთან, თან მეტოქეს კოეფიციენტიც უკეთესი აღმოაჩნდა, ღვამბერია ვერცხლსა და ევროპის საგზურს დასჯერდა. ევროპის პირველობის შარშანდელმა პრიზიორმა გიორგი სიბაშვილმა ნოე თუთისანს აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა.

**გივი გაგუა**

**სურათებზე: მარცხნიდან — ქეთევან ხომერიკი, მარიამ ჭოლაძე, ნინო ხომერიკი; გიორგი სიბაშვილი, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ნიკა ღვამბერია.**
**ავტორის ფოტო.**

**ფეხბურთი**

# შანსი ისევ გვრჩება

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის საწყისი თამაში სერბ თანატოლებთან 0:2 წააგო. შეხვედრის პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა, შესვენების შემდეგ კი მილან ლეშნიაკის გუნდმა ორჯერ გაიხარა: 58-ე წუთზე მილადინ სტევანოვიჩმა დაარტყა ზუსტად, 63-ე წუთზე კი კაპიტანმა დანილო პანტიჩმა მეორედ შეარხია ოთო გოშაძის კარის ბადე — 2:0.**



დღეს ქართველ 17-წლამდელთა მეტოქე ირლანდია იქნება, რომელმაც მასპინძლებს 1:0 სძლია. თამაში იგივე სტადიონზე გაიმართება და ისევე, როგორც სერბებთან მატჩს, მასაც მოლდოველი არბიტრი სერგეი დერენოვი მოემსახურება.

გიორგი დევდარიანის გუნდი ელიტ-რაუნდს 30 მარტს ავსტრიასთან თამაშით დაასრულებს.

**ევრო 2013. ელიტ-რაუნდი.** ავსტრია, ვენა, WFV ჰირშტეტენი.

**სერბეთი 2:0 საქართველო.**

**გოლები:** 1:0 მ.სტევანოვიჩი (58), 2:0 დ.პანტიჩი (63).

**სერბეთი:** მ.ოსტოჟიჩი, პ.რადოიევიჩი, მ.ბრაიჟოვიჩი, მ.გაჯიჩი, მ.სტევანოვიჩი, ს.ბაბიჩი, დ.პანტიჩი (კაპ), ლ.ბელიჩი (ლ.იოვიჩი 73), ნ.მიხაილოვიჩი (ვ.იოვანოვიჩი 80), ზ.ილიჩიჩი (ნ.რადონჯიჩი 51), ს.ლუკიჩი.

**მწვრთნელი:** მილან ლეშნიაკი.

**საქართველო:** ოთო გოშაძე, ზურაბ მალანია (გიორგი ბერიძე 65), გაგი მარგველაშვილი, ჯემალ ტაბიძე, გიორგი თევზაძე, ლუკა ზარანდია, თენგიზ გოროზია, რომან ჭანტურია, ილია კერძევაძე (კაპ), გიორგი ხარაიშვილი, აკაკი შულაია.

**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი.

**გაფრთხილება:** ნ.მიხაილოვიჩი, რომან ჭანტურია, გაგი მარგველაშვილი, თენგიზ გოროზია, დ.პანტიჩი, ნ.რადონჯიჩი, გიორგი თევზაძე.

**მსაჯები:** ს.დერენოვი (მოლდოვა); ს.ტროფანი (მოლდოვა), ა.კიჟასი (ავსტრია).

**ვიტალი ჯაფარიძე**

**წყალბურთი**

# სტარტი ექვსეულის პერსპექტივით

**უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი გაისად წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. იქ მონაწილეობა უკვე დაბევებული აქვთ კონტინენტის მოქმედ ჩემპიონ სერბებს, ჩერნოგორიას (ვიცე-ჩემპიონი), უნგრეთს (ბრინჯაოს მედალოსანსა და ასპარეზობის მასპინძელს), იტალიას, საბერძნეთსა და გერმანიას. 17 ქვეყნის წარმომადგენლები შესარჩევ ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას, რათა პლეი ოფში წინა ევროპის ჩემპიონატის მეშვიდე-მეთორმეტეადგილოსნებს გაუწიონ მეტოქეობა ფინალში მოსახვედრად.**

საგზურის მაძიებელთა შორის საქართველოს ნაკრებიცაა, რომელიც სახელოვანი ქართველი წყალბურთელის ვლადიმერ ისელიძის ხელმძღვანელობით ემზადება ამ პაექრობებისთვის. A ჯგუფის პირველ ეტაპს 4-7 აპრილს თბილისში საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის" აუზი უმასპინძლებს. აქ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ქართველი, სლოვაკი, ბრიტანელი, პოლონელი და ჩეხი წყალბურთელები. ჩვენმა ნაკრებმა მარტში ორი საწვრთნელი შეკრება გაიარა. ჯერ სერბეთს ეწვია და ნოვი სადის „ვოივოდინას" ბაზაზე ივარჯიშა, იქვე შვიდი ამხანაგური შეხვედრაც გამართა, საიდანაც ოთხი მოიგო და სამი მატჩი დათმო ადგილობრივ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებთან. მერე სტამბოლში გადაინაცვლა და „გალათასარაისთან" ერთად ივარჯიშა ოთხი დღე. თურქულმა გუნდმა სტუმრებს სამჯერ გაუწია სპარინგპარტნიორობა. ნაკრების ხელმძღვანელობა მომზადებით კმაყოფილია, ამიტომ თბილისში ქომაგებისთვის იმედის გაცრუებას არ აპირებს. გუნდი უფრო გაძლიერდებოდა, ტურნირისთვის ყველა ნატურალიზებული წყალბურთელი რომ ახერხებდეს ჩამოსვლას. უკვე ცნობილია, რომ „ოლიმპიკის" აუზში ითამაშებენ მარკო ელაჩა (ხორვატეთის „რიეკა") და მარკო ელეზი (იტალიის „ბრეშა"), აი, მარინო ფრანიჩევიჩი (ხორვატეთის „პიშკი") კი, რომელიც ქართველთა თავდასხმას საგრძნობლად გაააქტიურებდა, კლუბის ხელმძღვანელობამ არ გამოუშვა, რადგან თავად აქვთ გადამწყვეტი ორთაბრძოლები ეროვნულ და ევროტურნირებში.



რაც შეეხებათ შესარჩევი ტურნირის პირველ ტურში ჩვენს მეტოქეებს, ბრიტანელებთან საქართველოს ნაკრებს დადებითი ბალანსი (3:1) აქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან ინგლისელები შარშან ლონდონის ოლიმპიადისთვის, როგორც მასპინძლები, საკმაოდ გაძლიერდნენ, თან შინაურ ტურნირში კარგი გამოცდილებაც მიიღეს. პოლონელებიც არაერთხელ დაუმარცხებიათ ჩვენს ბიჭებს, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და მათს შემადგენლობაშიც ბევრი რამ შეიცვალა. დანარჩენ ორ გუნდს საქართველოს ნაკრები პირველად დაუპირისპირდება.

საგზურებისთვის ბრძოლა თბილისის ტურნირით არ მთავრდება: ვლადიმერ ისელიძის შეგირდებს შესარჩევის მონაწილე დანარჩენ 12 გუნდთანაც მოუწევთ გაპაექრება ივლისსა და ნოემბერში, ალბათ, მიმოსვლით და ამის შემდეგ გაირკვევა იმ ექვსი გუნდის ვინაობა, რომელიც პლეი ოფში გავა.

**ლექსო ცინცაძე**

**რაგბი**

# ვიომეთ, მაგრამ...

**საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის 1/4 ფინალი შარშანდელ ფინალისტ ირლანდიასთან დაძაბულ ბრძოლაში 27:31 წააგო.**

ილია მაისურაძის გუნდმა თამაში სუსტად დაიწყო, მე-12 წუთისთვის 0:8-ს აგებდა, თუმცა ნელ-ნელა უპირატესობა მოიპოვა და 13:11 დაწინაურდა. სამწუხაროდ, უკანასკნელ წუთებზე ირლანდიელებმა ორი ლელო დადეს და 31:20 წინ გაიჭრნენ, ჩვენმა გუნდმა კი მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხა.

ასე რომ, უმცროსი ბორჯღალოსნები მეხუთე ადგილისთვის ითამაშებენ, მათი მეტოქე კი, შარშანდელის დარად, იტალიაა. გამარჯვების შემთხვევაში ილია მაისურაძის გუნდი 30 მარტს უელსის და პორტუგალიის წყვილში მოგებულს შეხვდება.

საქართველოს მძლეველი ირლანდია ნახევარფინალში საფრანგეთს დაუპირისპირდება, ფინალის მეორე საგზურს კი ინგლისი და შოტლანდია გაითამაშებენ.

**2013. ევროპის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. საფრანგეთი.**

**საქართველო 27:31 ირლანდია.**

**საქართველო:** 15. ირაკლი სვანიძე (21. დავით გულიტაშვილი 67), 14. ბადრი ლიპარტელიანი, 13. დევი დევსურაშვილი (22. თემურ ირემაძე 57), 12. თემურ ირემაძე, 11. იოსებ კიკვაძე, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. ვასილ ლობჟანიძე (20. თემურ თუთბერიძე 62); 1. დავით ფხაკაძე (18. გუგა ხანთაძე 61), 2. ბადრი ალხაზაშვილი (კაპ) (16. ბექა კაკაბაძე 67), 3.ზაურ ხარებავა (17. გიორგი თორაძე 61), 4. თორნიკე ზოიძე, 5. როლანდ კვაჭაძე (19. ბექა გორგაძე 8), 6. ბადრი დანგაძე, 7. თორნიკე ბუბუტეიშვილი, 8. გიორგი მღებრიშვილი (24. დავით პაპავაძე 53)



**სათადარიგოები:** 23. დავით ლობჟანიძე, 25. გიორგი ხვისტანი, 26. ლევან გიკაშვილი

**მწვრთნელი:** ილია მაისურაძე

**3 ლელო:** თორნიკე ბუბუტეიშვილი (19), გიორგი მღებრიშვილი (42), ბექა გორგაძე (68)

**3 გარდასახვა:** რევაზ ჯინჭველაშვილი (20, 43, 69).

**2 ჯარიმა:** რევაზ ჯინჭველაშვილი (27, 31).

**სინბინი:** იოსებ კიკვაძე (22).

**მსაჯი:** ნუარო (საფრანგეთი).

**მანუჩარ გიორგაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დიდი მეცნიერის ხსოვნას

# აკადემიკოსი გური მარჩუკი



2013 წლის 24 მარტს სიცოცხლის 88-ე წელს გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი, ბრწყინვალე პედაგოგი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უკანასკნელი პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიკოსი **გური ივანეს ძე მარჩუკი**.

ბატონ გურის იცნობდნენ მთელ მსოფლიოში როგორც ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერს, რომლის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა მიეძღვნა გამოთვლით და გამოყენებით მათემატიკას, ბირთვული რეაქტორების გათვლის მეთოდებს, ატმოსფეროსა და ოკეანის ფიზიკის პრობლემებს და სხვ.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში, გური ივანეს-ძის ტალანტი განსაკუთრებით გამოვლინდა ქ. ობნინსკში ფიზიკა-ენერგეტიკის ინსტიტუტში, სადაც მას ბირთვული რეაქტორების გამოთვლის მეთოდების დარგში მიღწეული წარმატებებისათვის 1961 წელს მიენიჭა ლენინური პრემია. გური ივანეს ძის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მისი მოღვაწეობა ქ. ნოვოსიბირსკში (აკადემქალაქი), სადაც იგი 1962 წლიდან სათავეში ჩაუდგა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გამოთვლით ცენტრს, ხოლო 1975 წლიდან ციმბირის განყოფილების თავმჯდომარეცაა. 1980 წელს მარჩუკი ინიშნება საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 1986 წელს იგი აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად. განგების ნებით გ. ი. მარჩუკი აღმოჩნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბოლო პრეზიდენტი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისტორიული დრამის მონაწილე“, რომელიც დაკავშირებული იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არსებობის შეწყვეტასთან.

გ. ი. მარჩუკის უდიდესი დამსახურება მეცნიერებაში რამდენჯერმე აღინიშნა სახელმწიფო პრემიით, სხვადასხვა სახელობითი პრემიებით, მ. ვ. კელდიშის სახელობის ოქროს მედლით, მას მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი არჩეული იყო უცხოეთის მრავალი აკადემიის წევრად.

გური ივანეს-ძეს მჭიდრო მეგობრული და მეცნიერული ურთიერთობა აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსთან, აკადემიკოს ილია ვეკუასთან. აღსანიშნავია, რომ ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტს ავთანდილ კორძაძეს წილად ხვდა ბედნიერება 1965 წლიდან ემუშავა მისი უშუალო სამეცნიერო ხელმძღვანელობით ნოვოსიბირსკსა და მოსკოვში. ეს ურთიერთობა ბოლომდე გრძელდებოდა. აკადემიკოს მარჩუკის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით პროფ. ა. კორძაძესთან ერთად შეიქმნა შავი ზღვის დინამიკის მათემატიკური მოდელი, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში.

მიუხედავად იმისა, რომ გური ივანეს-ძე იყო უკიდურესად პრინციპული და მომთხოვნი თავის თავის, კოლეგების და მოწაფეების მიმართ, ის ამავდროულად იყო უაღრესად თბილი, გულისხმიერი, ყურადღებიანი, ურთიერთობისა და სიცოცხლის მოყვარული ადამიანი. ამ თვისებების გამო გური ივანეს-ძის საზოგადოებაში გამოჩენისთანავე ჩნდებოდა დადებითი იმპულსი და იქმნებოდა სასიამოვნო ატმოსფერო. ამიტომაა, რომ მასთან მუშაობა და ურთიერთობა ანიჭებდა ადამიანებს დიდ სიამოვნებას.

დიდი მეცნიერისა და პედაგოგის, საუცხოო ადამიანის, აკადემიკოს გური ივანეს-ძე მარჩუკის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მრავალრიცხოვანი კოლეგების, მოწაფეების და მათ გულში, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია.

**აკადემიკოს გ. ი. მარჩუკის მოწაფე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი, პროფესორი ა. კორძაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორ. თ. ჭელიძე.**

ჩვენი კარაბადინი

**იმ დაავადებათა ჩამონათვალში, რომლებიც იწირავენ ჩვენს თანამემამულეებს, ერთ-ერთი პირველი ადგილი გულის იშემიურ დაავადებას ეკუთვნის.**

**სპეციალისტები დარწმუნებული არიან: უბედურებათა წყარო — ამ სენის არა მხოლოდ დუნედ, ზოგჯერ უსიმპტომო მიმდინარეობაა, არამედ მრავალრიცხოვანი დაბნეულობანიც მის წარმოშობასთან და მკურნალობასთან დაკავშირებით.**

# ფარული დარტყმა

## როგორ ჩნდება გულის იშემიური დაავადება

### მითი: გულის იშემიური დაავადება — ხანდაზმულთა ხვედრია

**სინამდვილეში, გულის იშემიური დაავადება, არსებითად — გულის კუნთის უკმარისი სისხლმომარაგება, გაახალგაზრდავდა. უკანასკნელ ხანებში ექიმები სულ უფრო ხშირად ხვდებიან იმ ადამიანების კორონარული არტერიების ათეროსკლეროზულ ცვლილებებს, რომელთა ასაკიც 40-დან 60 წლამდეა, არიან 30-წლიანებიც კი.**

სწრაფად ასათვისებელ კალორიულ საკვებს, ცხოვრების ნაკლებად მოძრავ წესს, მოწევასა და ალკოჰოლის მოხმარებაში თავშეუკავებლობას მივყავართ იმასთან, რომ ადამიანი ღებულობს გულის იშემიურ დაავადებას ათეული წლობით ადრე, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ბუნებითა და მემკვიდრეობითი მიდრეკილებით. სიტუაციას ამწვავებს ზედმეტი წონა, შაქრის დიაბეტი, ჰიპერტონია.

გულის იშემიური დაავადებით უფრო ხშირად იტანჯებიან მამაკაცები. ქალებს გარკვეულ დონემდე იცავენ ესტროგენები — მათი ბუნებრივი ჰორმონალური დაცვა. მაგრამ მენოპაუზის დადგომასთან ერთად შანსები გახდნენ გულის იშემიური დაავადების მქონე — კაცობრიობის ძლიერ და სუსტ ნახევრებს უთანაბრდებათ.

### მითი: გულის იშემიური დაავადების მთავარი სიმპტომი — სტენოკარდიაა. „მშიერი“ გული ყოველთვის გვტკივა

**სინამდვილეში, სტენოკარდიის დროს გაცილებით უფრო ხშირად ვგრძნობთ არა ტკივილს, არამედ წვას, დაწოლას მკერდის ცენტრში, ზოგჯერ საყლაპავი მილის მიდამოებში. ტყუილად კი ეძახდნენ ძველად სტენოკარდიას გულის გაგანიერებას.**

როგორც წესი, სტენოკარდია ჩნდება ნაბიჯის აჩქარებისა და მკვეთრი მოძრაობის დროს და გადის, როდესაც ადამიანი ჯდება ან ისვენებს. ხდება ხოლმე (თუმცა, არც ისე ხშირად) ატიპური შემთხვევებიც, როდესაც სტენოკარდია ვლინდება ტკივილით მაჯაში, იდაყვში, მხარში. ხშირად გულის ტკივილს მიიჩნევენ, როგორც კუჭის წვას და ცდილობენ მის „ჩაქრობას“ სოდის ან ანტაციდური საშუალებების მიღებით.



კარდიოლოგებს დამოკიდებულება დაძაბულობის სტენოკარდიისადმი (მას ასევე სტაბილურსაც უწოდებენ) აქვთ „მადლიერი“. ასეთ პაციენტს ერთგვარად „გაუმართლა“: მისი სასიგნალო სისტემა გვაცნობებს, რომ მას გულის იშემიური დაავადება აქვს. გაცილებით უარესი და სახიფათოა, თუ ტკივილები ჩნდება რაიმე თვალსაჩინო მიზეზის გამო: გაღვიძების ან ძალიან უმნიშვნელო დატვირთვის დროსაც კი. ან საერთოდ არც ჩნდება. ადამიანი ამ დროს შეიძლება თავს გრძნობდეს სავსებით ნორმალურად და ეჭვიც არ ეპარებოდეს, რომ იმყოფება ინფარქტისაკენ მიმავალ შუაგზაზე.

### მითი: ყველაფერში დამნაშავე ქოლესტერინის მაღალი დონეა

**სინამდვილეში, ქოლესტერინი სხვადასხვაგვარია: „კარგი“ (აუცილებელია ფერმენტების მუშაობისთვის, ჰორმონების წარმოებისა და უჯრედოვანი გარსების შექმნისთვის) და „ცუდი“, რომელიც სწორედ სისხლძარღვთა კედლებზე ილექება, ქმნის ათეროსკლეროზულ ბალთებს, რაც ინსულტების მეოთხედის მიზეზია. ის კი, თუ რამდენი დაილექება, დამოკიდებულია იმაზე, როგორია მისი მიდრეკილება სტრესებისადმი: როდესაც ვნერვიულობთ, სისხლში ჩნდება ნივთიერებანი, რომლებიც ამსუბუქებენ ქოლესტერინის დალექვას სისხლძარღვების კედლებზე.**

რაც, სხვათა შორის, არ აქრობს უარის აუცილებლობას უხვცხიმიან საკვებზე: ცხიმოვანი წარმომავლობის პროდუქტებზე (რძე, ხორცი, კვერცხი) და მათს დამუშავებულ სახეებზე (ძეხვი, კარაქი, მაღალი ცხიმიანობის ყველი და ა.შ.).

აი იმ უხვ ცხიმებს კი, რომლებსაც შეიცავენ მცენარეული ზეთები, თევზი, სიმინდი, კაკალი, შეუძლიათ შეამცირონ „ცუდი“ ქოლესტერინის შემცველობა სისხლში და გაზარდონ „კარგის“ შემცველობა.

### მითი: სისხლძარღვთა ბალთებთან ბრძოლა შეიძლება აბებით

**სინამდვილეში, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შორს წავიდა კორონარული არტერიების ათეროსკლეროტიკული ცვლილებების პროცესი. თუ დაავადება სწრაფი და მზარდი ტემპით ვითარდება, ცუდი დასასრულის ალბათობა ოპერაციის გარეშე მაღალია. მაგრამ ზოგ შემთხვევაში, თუ დაავადების ხასიათი მრავალი წლის განმავლობაში არ იცვლება, ექიმები იფარგლებიან კონსერვატიული მკურნალობით, რომელიც საშუალებას აძლევს გულის იშემიური დაავადების მქონე ადამიანს იარსებოს ნორმალურად.** როგორც წესი, სამკურნალო თერაპია მოიცავს პრეპარატებს, რომლებიც ამცირებენ ქოლესტერინს (სტატინები) და პრეპარატებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ თრომბის წარმოქმნას (ანტიკოაგულანტები), აგრეთვე წამლებს, რომლებიც აწარმოებენ გულის ადაპტირებას სისხლდენის შესუსტებისადმი, პლუს წამლებს გულის იშემიურ დაავადებათა ისეთი თანამდევი მოვლენების მკურნალობისთვის, როგორებიცაა შაქრის დიაბეტი, ჰიპერტონია და ა.შ. თუმცა მედიკამენტოზური მკურნალობის შესაძლებლობანი უსაზღვრო როდია.

### გვირჩევენ

**როცა ჩნდება ეჭვი გულის იშემიურ დაავადებაზე, საჭიროა, ჩავაბაროთ სისხლის ანალიზი „ქოლესტერინზე“ (სალიპიდო პროფილი). თუ „ცუდი“ ქოლესტერინის (დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების) დონე მნიშვნელოვნად აჭარბებს „კარგის“ დონეს, გულის იშემიური დაავადების რისკი უკიდურესად დიდია. არტერიების მდგომარეობის შემოწმება შეიძლება არაინვაზიური (ინსტრუმენტული ჩარევის გარეშე) გამოკვლევის დახმარებით. ხოლო თუ ადამიანს აწუხებს სტენოკარდიაც, კორონაროგრაფიას (კორონარულ სისხლძარღვთა გამოკვლევა) გვერდს ვერ ავუვლით, რომლის დროსაც პაციენტის თეძოს ან სხვისი არტერიიდან შეჰყავთ კათეტერი კონტრასტული ნივთიერებით, აორტის გავლით მიდიან გულის სისხლძარღვამდე, რისი წყალობითაც ექიმი კომპიუტერის მონიტორზე ხედავს გამოსახულებას უმაღლესი სიზუსტით (გულის სისხლძარღვთა სამგანზომილებიან რეკონსტრუქციამდე) და შეუძლია გაიგოს ათეროსკლეროტიკული ბალთების ოდენობა და მათი განლაგება, აგრეთვე შეაფასოს, რამდენად სახიფათოა სიტუაცია და მკურნალობის რომელი მეთოდი უნდა ავირჩიოთ.**

სანთელი

# ეთერ დუნდუას მონატრება



ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის აღარა ხარ, ძვირფასო დედავ და ბებიავ. ძალიან დაგვაკლდი და გვენატრები. დიდი არის ტკივილი, რომელიც თქვენი ამ ქვეყნიდან წასვლით განვიცადეთ, მაგრამ გვანუგეშებს ის, რომ უაღრესად ვალმოხდილი, ღვაწლმოსილი გაუდექი გზას უფლისაკენ და ნათელი კვალი დატოვე შენი არაჩვეულებრივი ქალური ღირსებით.

იყავი სანიმუშო დედა და ბებია. ოთხი შვილისა და რვა შვილიშვილის აღმზრდელი, მოესწარი აგრეთვე ათ შვილთაშვილს და იმათაც უწილადე დიდი სითბო და სიყვარული.

ნაადრევად, ცხოვრების შუა გზაზე დაქვრივებული ღირსეულად გაუძეხი ოჯახს; შენი უდიდესი ძალისხმევით, შესანატრი ენერგიითა და სიყვარულით ყველაფერს აკეთებდი შვილებისა და შვილიშვილების საკეთილდღეოდ, რისთვისაც კიდევ ერთხელ გიხდით უდიდეს მადლობას.

ოჯახურ საქმიანობასთან ერთად რთულ და საპასუხისმგებლო სამსახურში ყოფნასაც ასწრებდი; სადაც კი იმუშავე, ყველგან სახელი მოიხვეჭე, როგორც საქმის ღრმა მცოდნე პროფესიონალმა; იყავი შრომისმოყვარე, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, ახალგაზრდების დამკვალიანებელი, ერთგული და ულალატო მუშაკი; ამიტომაც ყველას დაწყვიტა გული თქვენმა გარდაცვალებამ და დაგიტირეს ალალი ცრემლით.

ყოველთვის უკეთესი მერმისისათვის შემართული და თავდაუზოგავად მშრომელი, სტუმართმოყვარეობით, დიასახლისობით, უბრალოებითა და სათნოებით განთქმული მანდილოსანი, — ასე გახასიათებს ყველა, ვინც კი გიცნობდა, ვისაც კი შენთან ურთიერთობა ჰქონია, და სწორედ ამით ვართ ჩვენ ამაყი და ბედნიერი.

უზომოდ გვაკლიხარ და ძალიან, ძალიან გვენატრები; შენ ხომ უსაზღვროდ ალამაზებდი ჩვენს ცხოვრებას და შეუცვლელი იყავი ჩვენთვის; გვჯერა, რომ უფალმა ზეციერ სასუფეველში დაგიმკვიდრა ადგილი; დაე, ყველა ჩვენგანის მონატრება, მადლიერება, სიყვარული, ლოცვა და ანთებული სანთლები გინათებდეს გზას მარადისობაში.

**შვილები და შვილიშვილები**

**შემოქმედებითი კავშირი „საქართველოს მუსიკალური საზოგადოება“ ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი კომპოზიტორის, საგუნდო მუსიკის დიდოსტატის და საზოგადო მოღვაწის**

**იოსებ კეჭაყმაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

---

**ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ ნანული გოგიას და მის ოჯახს დედის**

**ლუბა ბულია-გოგიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ოთარ ტურაბელიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ვახტანგ, გოგი და ნინო ანანიაშვილებს შვილისა და ძმის**

**ლევან ანანიაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ტესტი

# ხართ ზარმაცი?

**უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და გაიგეთ, რამდენად ემორჩილებით სიზარმაცეს.**



**1. გიყვართ ფეხით გასეირნება?**
ა) ძალიან მიყვარს.
ბ) ზოგჯერ.
გ) არა, განსაკუთრებით არა.

**2. სამუშაოზე შემოგთავაზეს, გაიაროთ კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. როგორია თქვენი რეაქცია?**
ა) მეწყინება, იმიტომ, რომ ვხვდები – ახლა ნაკლები თავისუფალი დრო მექნება.
ბ) ამას შევხვდები მშვიდად, როგორც რაიმე გარდაუვალს.
გ) შევხვდები პოზიტიურად, დავინახავ შესანიშნავ შესაძლებლობას, გავიგო რაღაც ახალი რამ.

**3. ხართ მარდი წასვლაზე?**
ა) დიახ, ყოველთვის ვარ მზად, სადღაც წავიდე.
ბ) უფრო კი, ვიდრე არა.
გ) არა.

**4. თუ ხდება ხოლმე, რომ ვერ პოულობთ დროს, დაურეკოთ ნათესავებს, მეგობრებს?**
ა) იშვიათად ხდება ხოლმე.
ბ) არასოდეს.
გ დიახ, ხშირად.

**5. ფილმი, რომელსაც უყურებდით, შეწყდა რეკლამით, იქვე კი არ გაქვთ ტელევიზორის პულტი, თქვენი მოქმედება:**
ა) რახან ვერაფრით გადავრთავ არხს, ვუყურებ რეკლამას.
ბ) ავდგები და გადავრთავ პროგრამას.
გ) დავუძახებ ვინმეს ოჯახის წევრებიდან, რომ პულტი მომიტანონ.

**6. დილაობით თუ ასრულებთ გამამხნევებელ ვარჯიშებს?**
ა) ყოველ დილით.
ბ) ზოგჯერ ვაიძულებ თავს ამის გაკეთებას.
გ) დილის ვარჯიშისთვის არც ძალა მყოფნის, არც დრო.

**7. ამ სამი ფრაზიდან რომელია თქვენთვის ყველაზე მახლობელი?**
ა) „სიზარმაცე პროგრესის ძრავაა“.
ბ) „ერიდეთ სიზარმაცეს: სიზარმაცე ფინია როდია, სიზარმაცე ძლიერია, სიზარმაცე სპილოსაც კი წააქცევს“.
გ) „სიზარმაცე – ეს არის ჩვეულება, დაისვენო დაღლილობის წინ“.

**8. ხშირად ალაგებთ ბინას?**
ა) ერთხელ-სამჯერ კვირაში.
ბ) ყოველდღე.
გ) კვირაში ერთხელაც არა.

**9. თუ მოგწონთ სტუმრების მიღება სახლში ან საღამოს წვეულების ორგანიზატორის როლში გამოსვლა?**
ა) დიახ, მე ეს მომწონს.
ბ) მხოლოდ მაშინ, თუ ამისთვის არის არსებითი საბაბი.
გ) არა, ეს ჩემი საქმე არაა.

**10. გამოსასვლელ დღეებში თუ გიყვართ კარგად გამოძინება?**
ა) დიახ, მიყვარს საწოლში ნებივრობა.
ბ) არა, მირჩევნია აქტიური დასვენება.
გ) დამოკიდებულია ამინდზე და ჩემს საერთო მდგომარეობაზე.

## დაიანგარიშეთ ქულები ცხრილის გამოყენებით. შეაჯამეთ და გააკეთეთ დასკვნები:

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 1 | 3 | 1 | 2 | 3 | 1 | 3 | 2 | 1 | 3 |
| ბ | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 |
| გ | 3 | 1 | 3 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 |

**10-16 ქულა**. ძნელია, რომ თქვენ გიწოდოთ ზარმაცი. ხდება ხოლმე, რომ თქვენც არ გინდათ აკეთოთ საქმე, მაგრამ არაფერია ამაში საშინელი. იშვიათად, სიზარმაცეც კი სასარგებლოა.

**17-23 ქულა**. ალბათ, სიზარმაცის შემოტევები თქვენთვის ბევრად არის დამოკიდებული მოტივაციის უკმარისობაზე. შემოქმედებითად მიუდექით ყოველდღიური საქმეების შესრულებას. რუტინული საქმის დროსაც კი ეცადეთ გამოძებნოთ რაიმე მოულოდნელი. ახალი ხედვა ძველ რამეებზე დაგეხმარებათ დაიბრუნოთ დაკარგული მოტივაცია.

**24-30 ქულა**. ერთი მწერალი ამბობს: „სისულელეა იფიქრო სიზარმაცეზე ნეგატიურად და ქედმაღლურად ლაპარაკობდე მასზე: სიზარმაცეს შეუძლია ისე აქტიური ოცნება, რომ შეიძლება ახდენაც დაიწყოს“. როგორც ჩანს, თქვენ ეთანხმებით ამას. მაგრამ მაინც გახსოვდეთ – დაგდებული ქვის ქვეშ წყალი არ მიედინება.

ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### სადამდე მიიყვანს ჭიდაობა „ნაცებს“?

ნაცები არ ისვენებენ, ხან სარეიტინგო კენჭისყრას იგონებენ, ხან კი ვეტოს დადებით იმუქრებიან. ამის მიუხედავად, მათი ბრძოლა უშედეგოა – საკონსტიტუციო ცვლილებაც მიღებულია და როგორც ერთხელ უკვე ვნახეთ, არც ვეტოს დაძლევა გასჭირდებათ საპარლამენტო უმრავლესობას.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ეს ჭიდაობა ნაცებს დაშლამდე მიიყვანს, ალბათ, ოქტომბრამდეც კი. რამდენი შეცდომაც არ უნდა დაუშვას „ქართულმა ოცნებამ“, საზოგადოება ნაცებისკენ მაინც არ შეტრიალდება.

„ალია“

### „ქართული ოცნება“ ვალდებულია, სააკაშვილის იმპიჩმენტი დააყენოს!

პარლამენტის ყოფილ წევრს დიმიტრი ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი ქვეყანაში არსებობდა და არსებობს, მაგრამ იმპიჩმენტის პროცედურები არ ხორციელდება ქვეყანაში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ერიდება დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობის გაფუჭებას. მიზეზი ესაა და არა ის, რომ „ქართული ოცნება“ კოჰაბიტაციის სენითაა დაავადებული. ამ შემთხვევაში იმპიჩმენტი არ არის საზოგადოების აღმასრულებელი იდეაფიქსი. იმპიჩმენტის მოთხოვნა ობიექტური ინფორმაციებიდან გამომდინარეობს.

„ახალი თაობა“

### პატიმართა დარჩენილი რაოდენობა, შესაძლოა, განახევრდეს

სასჯელთა შეკრებითობის წესის გაუქმების შემდეგ, რომლის შესახებაც კანონს პარლამენტი უახლოეს მომავალში მიიღებს, ციხეებს კიდევ რამდენიმე ათასი პატიმარი დატოვებს. ამის შესახებ უფლებადამცველების ნაწილი საუბრობს. მათი თქმით, დარჩენილი პატიმრების რაოდენობა განახევრდება და შესაძლოა მაქსიმალური რაოდენობა 7 ათასს არ გადაშორდეს.

„რეზონანსი“

ინფორმაცია

### 28-29 მარტს წვიმიანი ამინდი იქნება

28-29 მარტს საქართველოში დროგამოშვებით წვიმიანი ამინდი იქნება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილემ ნინო წვერავამ განუცხადა , 27 მარტს, დღის მეორე ნახევრიდან ქვეყნის უმეტეს რაიონებში იწვიმებს.

დღისით ჰაერის ტემპერატურა +20 +25; აღმოსავლეთ საქართველოში +17 +22 იქნება. ღამით კი ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში +9 +14 იქნება; აღმოსავლეთ საქართველოში – +4 +9-ია მოსალოდნელი.

28 მარტსაც იწვიმებს. დასავლეთ საქართველოს უმეტეს და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ქარი იქროლებს, წამში 15 მეტრამდე სიჩქარით.

ამასთან, საქართველოში იწვიმებს 29 მარტის ღამესაც. წვიმა დღის მეორე ნახევარში შესუსტდება. 30 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით კი, გამოიდარებს.

ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ეტაპობრივად დათბება. 3 აპრილისთვის დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 25 გრადუსამდე აიწევს, აღმოსავლეთ საქართველოში კი, 23 გრადუსამდე.

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

– როცა დავთვრები, არავისი არ მეშინია!
– ცოლისაც კი?
– მაგ დონემდე ჯერ არასოდეს არ დავმთვრალვარ.

* * *

– ექიმო, დამეხმარეთ, უკვე ნახევარი წელია, სექსი არ მქონია!...
– ივან, გეყოფა გესლიანობა... მართლაც ძალიან დავიღალე პოლიკლინიკაში ავადმყოფთა მიღებით და მართლაც ძალიან მტკივა თავი.



ცოლს ცოტ-ცოტას მისცემ და, მადლობას გეტყვის.
ბევრს მისცემ და, კიდევ უფრო მეტს მოისურვებს.

* * *

– ბიძია, ახლა დავქორწინდები გოგოზე, რომელსაც სამი და ჰყავს. მაშინ ჩემს წილად მეოთხედი სიდედრიღა მოვა.

* * *

– ბიძია, ვთხოვდები. წარმომიდგენია, ერთბაშად რამდენი ჩემი ნაცნობი მამაკაცი დადარდიანდება და გაუბედურდება.
– შენ მაინც რა, ერთდროულად რამდენზე აპირებ გათხოვებას?

კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com